პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

წელიწადი პირველი

ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილისის
კომიტეტის და
საქრევკომის
ორგანო.

14 სეკტემბერი
ოთხშაბათი

1917. დროებითმა მთავრობამ რუსეთი რესპუბლიკათ გამოაცხადა.
1868 გამოვიდა „სახალხო საქმის" № 1. № 1-ის რედაქციაში მონაწილეობა მიიღეს ბაკუნინმა და ჟუკოვსკიმ. გამოდიოდა 1868—70 წ. და იყო 1 ინტერნაციონალის რუსული ფრაქციის ორგანო.
1866. გაიხსნა მოსკოვის კონსერვატორია.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კრუზენშტერნის ქ., № 4. რედაქცია ღიაა ყოველ დღე გარდა კვირა დღეებისა დილ. 10 ს.—2

ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 1476. მდივნის № 19 საერთო №

გაზეთის დაგზავნა და გაცემა სწარმოებს საქართველოს ცენტრალურ ბეჭდვითი განყოფილებაში, რუსთაველის ქ., № 4.
ტელეფონი №

დღიური

— მთავრობამ დაადგინა, მოეწყოს აჭარის ახალი რევკომი, 9 წევრის შემადგენლობით.
— 15 სექტემბრიდან განახლდება ტრამვაის მოძრაობა.
— კიევის საგანგებო კ[illegible] ლუციონერის დახვრეტა მაუნაჯა, საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ შეთქმულობისათვის.

№ 160 ოთხშაბათი, 14 სეკტემბერი, 1921 წ. ყოველდღიური გაზეთი ოთხშაბათი 14 სეკტემბერი. 1921 წ. № 160

დეკრეტები ნატურალური გადასახადების შესახებ

განსაკუთრებით ძნელ პირობებში უხდება ჩვენ მთავრობას თავისი სასურსათო პოლიტიკის წარმოება. ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების ცოტათ თუ ბევრათ ნორმალურ პირობებში, როდესაც სასოფლო მეურნეობა დაუბრკოლებლათ მუშაობაშია ჩაბმული, ქალაქის მრეწველობა თავის საქმეს აკეთებს, ტრანსპორტი მოწყობილია და ქალაქსა და სოფელს შორის კავშირი განუწყვეტელი—ასეთ დროს საჭირო არ არის მიმართო განსაკუთრებულ ზომებს სურსათისა და საზოგადოთ საქონლის მომარაგების მიზნით, მით უმეტეს თუ შემომტან ქვეყნებთან განწყობილება ნორმალურია და ფულის ფასიც არ განიცდის მუდმივ, ხშირათ კატასტროფიულ, რყევას. დღეს, იმპერიალისტური და რევოლიუციონური ომებისაგან შექმნილ მდგომარეობაში არც ერთი ჩამოთვლილი პირობა არ უწყობს ხელს კერძოთ სასურსათო საკითხის ნორმალურათ და დამაკმაყოფილებლათ გადაჭრას. არა ჩვეულებრივი გარემოება აუცილებლათ ჰქმნის განსაკუთრებული ზომების საჭიროებას და ერთი ამ ზომათაგანი, რომელთაც საბჭოთა რესპუბლიკების სამეურნეო გეგმაში აქვთ გარდამავალი, დროებითი ხასიათი, არის სასურსათო, უფრო სწორათ და ფართოთ რომ ვთქვათ, ნატურალური გადასახადების სისტემა; მას მიმართავენ ჩვენი ძმური რესპუბლიკები და მივმართავთ ჩვენც. ის არის დროებითი, რადგან, როდესაც ჩვენი სამეურნეო გეგმა იქნება გატარებული და ეკონომიური ცხოვრება აღდგენილი, ნატურალური გადასახადიც მოისპობა. თავისთავათ თვით ნატურალური გადასახადების დებულებებში გატარებულია სათანადო განაკვეთების ზომიერება და პროგრესივობა მათი. ამ პრინციპებს ეყრდნობიან უკვე რამოდენიმე ხნის წინეთ ჩვენი რევოლიუციონური მთავრობის მიერ შემოღებულ გადასახადებთან ერთად პურზე, სიმინდზე და მატყლზე, ის გადასახადებიც, რომელთა შესახებ დეკრეტები დაიბეჭდა ჩვენი გაზეთის № 158 და 159 ნომრებში. ამ დეკრეტებით შემოღებულია ნატურალური გადასახადები მევენახეობის, ბოსტნეულობის და რძის პროდუქტებზე, შემოღებულია აგრეთვე გადასახადი ხილზე და ხორცზე. ჩვენი მიზანია შევქმნათ, ერთი მხრით, სახელმწიფოებრივ მეურნეობაში და დაწესებულებებში ჩაბმული მუშებისათვის საჭირო სასურსათო მარაგი, მეორე მხრივ, ნედლი მასალის სავალუტო ფონდი საზღვარ-გარეთ გასატანათ, საიდან გაცვლის ნიადაგზე ჩვენი მეურნეობისა და სასურსათო საჭიროების საგნების შემოსატანათ. როგორც პირველი, ისე მეორე შემთხვევაში ცხადი ხდება ყველასათვის, თუ რა დიდ საქმეს უნდა ემსახუროს ნატურალური გადასახადების სისტემა. ჩვენ შეგვიძლია თამამათ ვთქვათ: თუ მოვკრებთ ნატურალურ გადასახადს იმ რაოდენობით, როგორითაც ის არის ნავარაუდევი სახელმწიფოს მიერ და ამას მოვახერხებთ დეკრეტებში აღნიშნულ ვადის ფარგლებში, ჩვენ საშუალება მოგვეცემა წინ წავსწიოთ ჩვენი სამეურნეო აღმშენებლობის საქმე, ჩვენ შევსძლებთ გავამაგროთ სახელმწიფო და გავიმარჯვოთ მიმდინარე ბრძოლაში. ცხადია, რომ დეკრეტების ცხოვრებაში გატარება, დაწესებული ნატურალური გადასახადების თავის დროზე და სავსებით მოკრება, მათი სახელმწიფოს ხელში უკლებლივ მოგროვება—ეს არის ერთი დიდი დამკვრელი მუშაობა და, როგორც ასეთი, უნდა ჩავატაროთ ის მთელი ჩვენი ენერგიით, ყველა ჩვენ განკარგულებაში მყოფ საშუალებით ადმინისტრატიულ იძულებამდე. მარა ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ დეკრეტი ამ უკანასკნელის შესახებ დარჩება მხოლოდ ქაღალდზე, თუ რომ გადამხდელი დარწმუნდება, რომ სახელმწიფოსათვის შექმნილ მდგომარეობაში საჭირო ნაწარმოების შეგროვება სხვა გზით შეუძლებელია, რომ გადასახადები თავის დანიშნულებით მიზან-შეწონილი არიან, რომ ისინი ზომიერად არიან ნავარაუდევი და პროგრესივობის პრინციპზე დამყარებულნი. ასეთი შეხედულების გავრცელებას ჩვენ ხალხში უნდა ემსახურონ ჩვენი ადგილობრივი პარტ-ორგანიზაციები და სათანადო ორგანოები. ამაში ჩვენ გვეგულება ძლიერ მოკავშირეთ სოფლის წვრილი და საშუალო გლეხკაცობა.

გარდამავალი ხასიათის, ზომიერი და პროგრესივობის პრინციპზე ნავარაუდევი ნატურალური გადასახადი, რომელიც ანთავისუფლებს შეუძლო მეურნეთ, უნდა დაკვრითი წესით შევკრიბოთ, რომ ქვეყანა გამარჯვებული გამოვიდეს შექმნილი მდგომარეობიდან. აქეთკენ უნდა იყოს მიპყრობილი დღეს მთელი ჩვენი ყურადღება და ენერგია.

თბილისის მბეჭდავთა არჩევნების გაკვეთილი

თბილისის მბეჭდავთა კავშირი ამ უკანასკნელ დღეებში ერთი საგულისხმო დემონსტრაციის ასპარეზი იყო. პროლეტარული რევოლიუციის მსვლელობა—განვითარების პროცესი მიკროსკოპიული სიპატარავით ცხადჰყო იმ არჩევნებმა, რომელიც მოხდა ამ კავშირში. მბეჭდავთა და საერთოდ მელითონეთა ფრთა მუშათა კლასისა რომ პროლეტარული მოძრაობის ავანგარდში ითვლებოდა ყოველთვის და ითვლება ეხლაც, ეს ყველამ უწყის. და ეს ფრთა ყოველთვის იყო ერთ და იმავე დროს მატარებელი როგორც გადამეტებული მებრძოლობის, ისე ერთგვარი სიჯიუტის. ეს შედეგია თვით კავშირის შემადგენლობის: თავზე ხელაღებულ რევოლიუციონერებთან, მუდამ ბრძოლას მოწყურებულ, ჭეშმარიტ პროლეტარული სულისკვეთებით გაჟღენთილ ელემენტებთან ერთად, კავშირში ბლომათ იყო და არის ახლაც დინჯი, „ჭკუა დაჯდარი" ელემენტი, რომელსაც მუშათა კლასის არისტოკრატიათ მოაქვს თავი და ხშირად ზემოდან ქვევით, მედიდურათ დასცქერის მასსის რევოლიუციონურ აღფრთოვანებას და ახლისკენ მოუთმენარ ლტოლვას.

ქართველ მენშევიკების ციხე-სიმაგრე იყო დიდხანს, რკინისგზელებთან ერთათ, მბეჭდავთა კავშირიც. მაგრამ ცხოვრების გაკვეთილების ჩაქუჩმა ნაყოფიერად იმუშავა და გასული წლის მიწურულში ამ კავშირებმა, მათმა მემარცხენე ნაწილმა გვერ[illegible] მოგლიჯა პოლიციური არსენალით მბრძანებელ პარტიას და დადგა პროლეტარული რევოლიუციის მებაირახტრე პარტიის რიგებში. მომხდარ გადატრიალებამ ეს ნაწილი გაამაგრა და კიდევ უფრო წაახალისა, თუმცა ბევრი ძალა-უნებურათ მოსწყდა კავშირის სტიქიას, ვინაიდან მომენტმა მათ მოუწოდა საბჭოთა აღმშენებლობისაკენ, მასსებზე დაშორებულ პოსტებზე.

მაგრამ, პროლეტარულმა გადატრიალებამ კიდევ უფრო გააჯიუტა და შეურიგებელი გახადა მეორე, არისტოკრატიული ფრთა, რომელსაც არ სურს შეურიგდეს ბატონობის დაკარგვას, არ სურს ამ გარდამავალი დროის სიმძიმე, კეთილდღეობის დროებითი გაუარესება ზიდანოს, მუშურ-გლეხური მასსების დიქტატურას შეურიგდეს.

ამიტომ მბეჭდავთა კავშირში დღესაც ძველებური ჯგუფებათ დაყოფის მოწმენი ვართ. მენშევიკური ფრთა ჯიუტი და შეურიგებელია. კომუნისტური ფრთა, თუმცა დასუსტებულია მრავალ პროლეტარების სხვა პოსტებზე გადასვლით, კიდევ უფრო დაძაბულია რევოლიუციური ცეცხლით. ამ ორ ფრთას შუა სდგას უპარტიო მასსა, პროლეტარული პატიოსნებით და კეთილშობილებით აღსავსე. უპარტიო ნაწილი ჯერ ვერ გამორკვეულა საბოლოოთ და არ დაუკავებია თავისი ადგილი იქ, იმ პარტიის მწკრივებში, სადაც აღმართულია დროშა შრომის საბოლოო გამარჯვების და ჩაგვრა ექსპლოატაციის დათრგუნვის. ვერ გამორკვეულა საბოლოოთ, მაგრამ უკვე უტყუარი ნიშნებია იმის, თუ საით არის მიმართული მთელი მათი სიმპატია, საით იხრება მათი მუშური ნებისყოფა. უპარტიო ხედავს დღეს, თუ რომელი პარტია, რომელი რეჟიმი ემსახურება მუშათა კლასის რევოლიუციურ ინტერესებს, მის საბოლოო განთავისუფლებას. პატიოსანი უპარტიო, თა თქმა უნდა, ამჩნევს მრავალ ნაკლს საბჭოთა ხელისუფლების ბრძოლა-მოქმედებაში, ის განიცდის სხვებთან ერთად დიდ გაჭირვებას, არსობის პურის ნაკლებობას, მაგრამ მისთვის უკვე ცხადია, რომ ეს დროებითია, რომ კომუნისტების ზოგ სუბიექტიურ ნაკლს ემატება ჯერჯერობით დაუძლეველი ობიექტიური პირობები და დაბრკოლებანი, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ყოველივე ეს გამოსწორდება, ორგანიზაციის მოწესრიგებასა და გაუმჯობესობას წამოიწევს ობიექტური, კომუნისტების ნებაზე დამოუკიდებელი პირობების შეცვლა, და მშრომელთა კლასის მდგომარეობაც გაუმჯობესდება.

უპარტიო ხედავს, რომ მხოლოდ კომუნისტური პარტია არის დღესდღეობით ერთად-ერთი შეურიგებელი მებრძოლი მუშათა კლასის ახლობელ და შორეულ კლასიურ ინტერესებისათვის, რომ მარტოთ-მარტო კომუნისტური პარტია ატარებს მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციას. და ამიტომაც, რამდენათაც ის არ ეთიშება თავის კლასს, რამდენათაც ის მუშათა კლასის რევოლიუციას სთვლის თავის სისხლიათა საქმედ, ის მხარში უდგება ყოველთვის კომუნისტებს, საბჭოთა ძალა-უფლების მოციქულებს და მათთან იერიში მიაქვს მენშევიკების, მუშათა არისტოკრატიის წინააღმდეგ.

თბილისის მბეჭდავთა უკანასკნელ არჩევნებში ნათლად გამომჟღავნდა უპარტიოთა ასეთი სულისკვეთება. პატიოსანი შრომის რაინდები გვერდში ამოუდგენ კომუნისტებს და მათთან ერთად ხელი ჩასჭიდეს მუშურ საქმეს, მშრომელთა დიქტატურის აღმშენებლობას.

ჩვენი გადაუდებელი მიზან დანიშნულებაა ეს ბუნებრივი კავშირი კომუნისტებსა და პატიოსან უპარტიოთა შორის განვამტკიცოთ, ორგანიზაციულათ ჩამოვაყალიბოთ.

მეტი ნდობა უპარტიო მასსას, პასუხსაგებ პოსტებზე უპარტიოთა წამოყენება, მუდმივი კავშირი მათთან საერთო მუშურ საქმიანობის ნიადაგზე და ასე რევოლიუციონერი თანამშრომლობა კომუნისტურ პარტიისა და უპარტიოთა მასსების—აი რას გვკარნახებს მბეჭდავთა არჩევნების გაკვეთილი, აი ჩვენი ახლობელი მიზანი.

საბჭოთა რუსეთის პრესა

რუსეთის ხალხთა მასსების შიმშილი და პარიზის ბირჟა.

ბ. ბ. ბურჟუაზიული მწერლები სწერენ სტატიებს. ბ. ბ. ბურჟუაზიული წარმომადგენლები ლაპარაკობენ სიტყვებს. ბ. ბ. ბურჟუაზიული დიპლომატები იკრიბებიან კონფერენციებზე. მხოლოდ ყველაზე აშკარა მათგანი გამოსთქვამს თავის სიხარულს იმ უბედურების გამო, რომელიც ეწვია რუსეთის ხალხთა მასსებს. პოლიტიკურად უფრო გამოცდილნი, უფრო ეჭვიანები მოუწოდებენ მათ ამისთვის წესიერებისაკენ.

ბურჟუაზია და მუშათა მასსები, ეს ორი ხალხია, როგორც ეს უკვე დიდი ხანია, რაც სთქვა დიზრაელიმ. ხალხთა შორის კი უნდა არსებობდეს დიპლომატიური დამოკიდებულებანი, ე. ი. **დამოკიდებულებანი სიცრუისა და სიყალბისა.** ამიტომ არ შეიძლება აშკარად სთქვან: ჩვენ, მთელ მსოფლიოს ბურჟუები, უსაზღვროთ მოხარული ვართ, რომ რუსეთის მუშა და გლეხი სიმშილობს, და ჩვენ იმედი გვაქვს, რომ სიმშილი ასწავლის მათ ჭკუას! ამის თქმა აშკარად არ შეიძლება, ვინაიდან ყურს უგდებენ მთელი მსოფლიოს მუშები, რომლებიც ასეთ გულახდილობას შეუძლია ფეხზე დააყენოს. უნდა იცრუოთ, უნდა მოაჩვენონ თავი თანამგრძნობლებათ, უნდა ილაპარაკონ დახმარებაზე და ამავე დროს მოამზადონ ლახვარი. და ბ. ბ. დიპლომატებიც ლაპარაკობენ დახმარებაზე, და ბ. ბ. დიპლომატებიც ამზადებენ ლახვარს.

ევროპის ბურჟუაზიული პრესა არ გამოეხმაურა ჩვენი მთავრობის ნოტას **რუმინიისადმი.** და ან კი რა უნდა ეთქვა მას ჩვენს მითითებაზე, რომ რუმინიაში იკრიბებიან პეტლიურას ბანდები მარჯვენა ნაპირის უკრაინაში შემოსაჭრელად და დამშეულ რუსეთისათვის ასე საჭირო პურის მარაგის მოსასპობად. რა უნდა ეპასუხა მას ჩვენს მტკიცებაზე რუმინიის სამხედრო მზადების შესახებ? საყოველთაოთ ცნობილ ფაქტების უარყოფა უსარგებლოა, ვინაიდან არ შეიძლება უარყოფა იმ ფაქტის, რომ რუმინია აჭიანურებს ზავის შეკვრას საბჭოთა რუსეთთან, რომ, ამგვარად, რჩება უკანასკნელი ნაწილი რუსეთის დასავლეთის საზღვარზე, სადაც ზავი არაა შეკრული და საიდანაც ამიტომ ყველაზე ადვილად შეიძლება ახალი სამხედრო გამოლაშქრების დაწყება გვალვისაგან გადარჩენილ რუსეთის ოლქებზე.

საფრანგეთმა მიაღწია იმას, რომ **ზემო სილეზიის საკითხი** არაა გადაჭრილი, რომ მისი გადაჭრა გადადებულია. ამგვარად, საფრანგეთს შეძლება ეძლევა თავი მოუყაროს ახალ ჯარებს ზემო-სილეზიაში, შეძლება ეძლევა შექმნას იქ **ახალი სამხედრო ბაზათ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ.** „ტაიმსი" 22 აგვისტოდან სტატიაში აღმოსავლეთ ევროპის მდგომარეობის შესახებ, ლაპარაკობს რა საბჭოთა რუსეთში სიმშილობით შექმნილ მდგომარეობაზე, აცხადებს, რომ ამასთან დაკავშირებით ზემო-სილეზიის საკითხს ეძლევა **ახალი მნიშვნელობა.** „ტაიმსს" არ სწამს—და ამას აშკარადაც ამბობს—საბჭოთა რუსეთის არავითარი სამხედრო განზრახვები პოლონეთის მიმართ, მაგრამ აცხადებს, რომ **„ყველაფერი შესაძლებელიაო"**, და ამბობს: **ამ თვალსაზრისით საკითხს ზემო სილეზიის შესახებ აქვს ახლა სპეციალური მნიშვნელობა. თავის თავად ის არ წარმოადგენს დიდ კრიზისს, მაგრამ ის მჭიდროთ დაკავშირებულია ბნელი შესაძლებლობებთან, რომელიც იქმნება ახლა აღმოსავლეთ ევროპაში და რომელიც დიდათ საფრთხილოა".**

„ტაიმსი" ადასტურებს, რომ ბ. ბრიანის და მასთან კავშირში მყოფ ინტერვენციის მომხრეებისათვის სილეზიის საკითხი მჭიდროთაა დაკავშირებული „ბნელ შესაძლებლობებთან". მაგრამ ის სტყუის, როდესაც ამბობს, რომ ეს „ბნელი შესაძლებლობა" იქმნება აღმოსავლეთ ევროპაში. ის იქმნება **დასავლეთ ევროპის კაპიტალისტების მიერ, რომლებიც აშენებენ თავიანთ ბნელ გეგმებს რუსეთის მშრომელთა მასსების სიმშილზე.** ამ გეგმებს უფრო ნათლად, უფრო სწორეთ, ვიდრე ნორდკლიფისა და ბრიანის ჟურნალისტური ბანდიტები, გამოხატავენ ბ. ბ. ბურჟუები იქ, სადაც ისინი **მარტო** არიან, სადაც ისინი ლაპარაკობენ **საქმით,** და სადაც, კაცობრიობის საუბედუროთ, მუშათა მასსები არ შეჩვეულან **ჯერ** კიდევ მუყაითი კონტროლიორის როლის თამაშს—ბურჟუაზიაზე. 6 და 13 აგვისტოს პარიზის ყოველკვირეულში: „ახალი ევროპა", ჩვენ ვპოულობთ შემდეგ ცნობას:

„**უცხოეთის სახელმწიფო** ქაღალდებიდან უდიდეს ყურადღებას იპყრობს **რუსეთის ქაღალდები.** ეს ახალი ამბების შედეგია რუსეთის იმპერიიდან. ხალხის დიდი გაჭირვების წინაშე საბჭოები აცხადებდნენ, რომ მათ არ შეუძლიათ დახმარების აღმოჩენა. ისინი მიჰმართავენ დახმარებისათვის საზღვარ-გარეთს... რის შედეგათ 4 პროცენტიანი ქაღალდები იყიდება 23, 95, 5 პროცენტიანი 96 წ.—29, 25, 4 ნახევარ პროცენტიანი 99 წ.—21, 65 ათ.

მეფის ქაღალდები და სისხლი მაღლა იწევს, ვინაიდან რუსეთის მშრომელი ხალხი სიმშილობს. მსოფლიო ბურჟუაზია ცრემლებს აფრქვევს სიმშილობის გამო რუსეთში. ის აცხადებს, რომ „ხალხთა მასსების გაჭირვების წინაშე" ის ივიწყებს პოლიტიკას, ის ფიქრობს მხოლოდ ტანჯულებზე, რომლებიც საჭიროებენ დახმარებას. დახმარებას ბურჟუაზია ჯერ კიდევ არ უწევს, ის მხოლოდ იკვლევს დახმარების ზომებს. მაგრამ ერთ და იმავე დროს ის **სიმშილობაზე უკვე ჯიბეს ისქელებს.** მოიწმინდა რა ცრემლები, მან ხელი მიჰყო მეფის ქაღალდებით ვაჭრობას აწეულ ფასებით, ვინაიდან სიმშილი ბადებს მასში იმედს, რომ მშრომელი **ხალხის** ძალა დასუსტდება და დაინებდება ის მსოფლიო ვეშაპებს, რომ ის პურის ნატეხზე გაყიდის თავის ხელისუფლებას, რომ დაბრუნდება დრო, როდესაც ყველა ეს მეფის ხაზინის მიერ ხელმოწერილი ქაღალდები დაიბრუნებს ძველ ღირებულებას. ყოველი ბავშვი რომელიც იღუპება ვოლგის მხარეში შიმშილობისაგან, ყოველი ქალი, რომელიც კვდება სიმშილობისაგან, ნაღდდება პარიზის ბირჟაზე. პირველ რიგში ჯიბეს ისქელებენ **კოკოვცევები, ნობელები, კონოვალოვები და რიაბუშინსკები,** რომლებიც ინახავენ ფასიან ქაღალდებს, რომლებიც ხმაურობას სტეხენ თეთრ პრესაში რუსეთის ხალხის გასაჭირზე და იმაზე, რომ ის დახმარებას საჭიროებს.

ოქრო იბადება მუშებისა და გლეხების მიერ ბრძოლის ველებზე კაპიტალის საქმისათვის დანთხეულ სისხლიდან. ოქროში ნაღდდება მშრომელთა მასსების გასაჭირი და სიმშილი. ამ ოქროზე აგებულ ქვეყანას ქვია ცივილიზაციისა და ჰუმანობის ქვეყანა და ის გვკითხავს ჩვენ ლექციებს ბარბაროსობაზე და უადამიანობაზე. **ჩვენ მოუწოდებთ მთელი მსოფლიოს მუშებს გაეცნონ ბირჟის ცნობებს, თვალ-ყური ადევნონ რუსეთის ქაღალდების ტრიალს მასზე და გასაჯონ კაპიტალიზმი არა ბ.ბ. ბურჟუაზიულ მსოფლიოს წარმომადგენელთა სიტყვებით, არამედ მსოფლიო ბირჟის ფასების ცხრილის მიხედვით.**

კ. რადეკი.

„პრავდა" № 187, 25 აგვ.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

გემების მოსვლა.

პეტროგრადი, 12 სექტ. (რადიო). პეტროგრადის ნავთსადგურში ჩამოვიდა 5 გერმანული გემი, ერთმა ჩამოიტანა ლიანდაგები, მეორემ ჩამოიყვანა რუსი სამხედრო ტყვეები.

საგარეო ვაჭრობა ეწყობა.

ოდესა, 6 სექტ. (რადიო). ჩამოვიდა მე 3 ტრანსპორტი 380 ათასი ფუთი საქონლით ინგლისიდან. უკანასკნელ ორი კვირის განმავლობაში ოდესის ნავთსადგურში მოტანილია 1 მილიონ ფუთზე მეტი ნახშირისა. ჩამოსულ საქონლის გადმოტვირთვა დღე და ღამე სწარმოებს. უმაღლეს ხარისხის ნახშირი საჩქაროთ იტვირთება ვაგონებში და იგზავნება ცენტრალურ რაიონებში. ნავთსადგურში ჩამოსული ინგლისელი მეზღვაურები გადმოგვცემენ, რომ ინგლისის შავი ზღვის ნავთსადგურებისათვის დამზადებულია 10 ტრანსპორტი. ზოგიერთი მათგანი უკვე გზაში იმყოფება.

დამსახურებული სასჯელი.

მოსკოვი, 18 სექ. (რადიო). კიევის საგუბერნიო საგანგებო კომისიამ განიხილა საქმე სრულიად უკრაინის აჯანყებულთა კომიტეტის მონაწილეთა, კიევის ქალაქის სამხედრო ორგანიზაციის და ატამან ბესარაბენკოს სამხედრო ჯგუფისა, რომელთაც ბრალად ედებოდათ საბჭოთა ხელისუფლების ჩამოგდების ცდა, უკრაინის სახალხო რესპუბლიკის შესაქმნელათ, მუშათა და გლეხთა სურვილის წინააღმდეგ უკრაინისათვის პოლონელ პანთა და ანტანტის უღლის დასადგმელად. 39 ბრალდებული დახვრეტილია დანარჩენთ ბანაკი მიესაჯა სხვა და სხვა ვადით. ბრალდებულთა შორის არის მგოსანი ჩუპრინკა და გიმნაზიის დირექტორი გამკა.

მრეწველობის აღდგენა

მოსკოვი 12 სექტემბ. (რადიო) პეტროგრადში, გემის სააღმშენებლო ქარხანა ათავებს ორთქმავალთა შეკეთებას და ზამთარში შეუდგება განსაკუთრებით გემების შეკეთებას.

განაახლა მუშაობა პეტროგრადის დულაბის ქარხანა „ნევკა"-მ, რომელიც უმოქმედოთ იყო 3 წელს...

კაპიტალურად შეკეთდა და მუშათა რიცხვი გადიდებულია; ქარხანა დაიმუშავებს ყოველდღიურად 1500 ფ.

კურსკში მოვიდა 18 ვაგონი სასოფლო სამეურნეო მანქანებით. ჩამოვიდა აგრეთვე საველე ელექტრონის სადგური, რომელიც ოლქში დაიწყებს მოგზაურობას და პურის საჩქაროთ შეკრებას უშველის.

პეტროგრადის შინა-მრეწველთა მუშაობა

პეტროგრადი 10 სექტ. (რადიო) პეტროგრადის გუბერნიაში 1 აგვისტოს რეგისტრაციაში გატარებულია 6.485 შინა მრეწველი და 5.000 წევრი შრომის არტელისა. 1500 მათ შორის ტყავეულ ფეხსაცმელთა ხელობისა არიან და ამდენივენი მქსოველნი და მელითონენი.

მელითონეებმა მიმდინარე წელში უნდა დაამზადონ 1250 გუთანი, 25 სალეწი მანქანა, 125 სანიავებელი 50 ჩალის საჭრელი, 20 000 ნიჩაბი, 5000 ნამგალი 10.000 ცელი და 50 000 ხერხი.

ქიმიკოსთა ყრილობა.

მოსკოვი. 12 სექტ. (რადიო). მოსკოვში 13 ოქტომბერს შესდგება სრულიად რუსეთის ქიმიკოსთა კავშირის ყრილობა. კავშირის მუშაობის ანორმალური პირობანი მოითხოვენ მის რეორგანიზაციას მოკლე ვადაში. საგუბერნიო პროფკავშირებს წინადადება მიეცათ, ფართო დახმარება აღმოუჩინონ ქიმიკოსთა კავშირებს, საარჩევნო მუშაობაში, ადგილობრივ პარტიულ კომიტეტებთან უშუალო კავშირით და მონაწილეობით.

თეთრ გვარდიელები.

ოდესსა, 6 სექტ. (რადიო) ივლის-აგვისტოს განმავლობაში მარტო ხარკოვის სამხედრო ოლქში აღმოჩენილია თეთრგვარდიელთა 12 ორგანიზაცია, პეტროგრადის, მელიტოპოლისა და ოდესსას მოსპობილ შეთქმულებასთან მჭიდროდ დაკავშირებული.

კაპიტალიზმის სამეფოებში

ინგლისი

მუშები არ დაუშვებენ ახალ ომს

ლონდონი. 11 სექტემბ. (რადიო). კარდიფში ინგლისელ მუშათა კავშირების ყრილობაზე მიღებულია დადგენილება, გაერთიანონ მთელი მსოფლიოს სამთო მუშები და საერთაშორისო ომის საშიშროების შემთხვევაში, გამოაცხადონ საერთო გაფიცვა მსოფლიო მასშტაბით.

იტალია

იტალიის არმიის დემობილიზაცია

რომი. 12 სექ. (რადიო). სამხედრო მინისტრის მიერ გამოცემულია ბრძანება იმ ჯარის-კაცთა სამარქაფოთ გადარიცხვაზე, რომელნიც დაბადებულნი არიან არა უგვიანეს 1900 წლის მეორე ნახევრისა.

პოლონეთი

გაფიცვა პოლონეთში.

ვენა, 5 სექტ. (რადიო). „რეჩ პოსპოლიტა" იუწყება, ხოლმის რაიონში გაფიცვის დაწყებაზე მელითონე მუშათა შორის, რომელნიც მოითხოვენ სამუშაო ფასის გადიდებას. 40,000 ლოძის მქსოველებმა კვლავ წარადგინეს მოთხოვნილება სამუშაო ხელფასის 50 პროცენტით გადიდების შესახებ.

იარაღს ისხამენ.

მოსკოვი, 12 სექტ. (რადიო). პოლონეთის სახელმწიფო ბიუჯეტი ითვალისწინებს 61 მილიარდ პოლონურ მარკის გასავალს სამხედრო მიზნებისათვის.

რუმინეთი

ბესარაბია სამხედრო მდგომარეობაში.

ოდესსა, 11 სექტ. (რადიო). უკრაინის დეპეშათა სააგენტოს ცნობით, რუმინიის მთავრობის მიერ ბესარაბიაში სამხედრო მდგომარეობაა გამოცხადებული

კომინტერნის მესამე კონგრესი

სხდომა მე 11 ე (1 ივლისი).
(დასასრული იხ. „კომ." № 157).

ამხ. ლენინი. ჩემდა სამწუხაროდ, ამბობს ის,—მე უნდა დავკმაყოფილდე თავდაცვით. ვამბობ, სამწუხაროთ, იმიტომ, რომ მოვისმინე რა ამხ. ტერაჩინის სიტყვა და წავიკითხე რა „მოსკოვის" დღევანდელ ნომერში სამი დელეგაციის მიერ წარმოდგენილი შესწორებანი ჩვენს თეზისებზე, მე ვგრძნობ დაუძლეველ სურვილს შეტევაზე გადასვლისათვის ვინაიდან თუ კონგრესი ამ გვარ შეცდომების მიმართ, ამგვარ მემარცხენე ბავშობის მიმართ არ გადავა პირდაპირ შეტევაზე, მოძრაობა დამარცხდება. ჩვენ ხომ შეკავშირებული, დისციპლინიანი მარქსისტები ვართ და დავით სიტყვების შესახებ ვერ განვისაზღვრებით. ჩვენ ჩვენი თეზისების გამომუშავების დროს უნდა ვიმოქმედოთ შეკავშირებულათ და შევეცადოთ გამოვნახოთ სწორი ხაზი. კომუნისტები თავის წრეში განსაზღვრულ გარემოებაში საჭიროებენ კომპრომისებს. მას შემდეგ, რაც ცენტრისტები არა მარტო ფორმალურათ იქნენ გარიცხული, არამედ სავსებით გამორიცხულიც, ტერაჩინი აცხადებს, უნდა ვაწარმოოთ გადამჭრელი ბრძოლა ცენტრისტებთან და გვაჩვენებს, თუ როგორ ესმის მას ეს ბრძოლა. თუ ეს შესწორებანი მაჩვენებელი უნდა იყოს ამ მიმართულების, მაშინ უსათუოდ და უ[illegible] ბრძოლა მასთან. მაკვირვებს მხოლოდ, თუ რატომ არ მოაწერა ხელი ამ შესწორებებს გ. კ. მ. პ. შეხედით. შესწორება პირველი: ამოიშალოს სიტყვა „უმრავლესობა" და შეიცვალოს სიტყვა „ძირითადი დებულებანი" სიტყვით „მიზნები". ძირითადი დებულებანი და მიზნები სხვადასხვა საგნებია. მიზნების შესახებ ჩვენ შეიძლება დავეთანხმოთ ანარქისტებსაც. ისინიც ლაპარაკობენ აგრეთვე ექსპლოატაციისა და კლასების მოსპობაზე. მე ჩემს სიცოცხლეში ცოტა მინახავს ანარქისტები, მაგრამ მიზნის შესახებ მე მათ ყველას ვეთანხმებოდი. მაგრამ ვერას შემთხვევაში ვერ შევუთანხმდი ძირითად დებულებების შესახებ. ძირითადი დებულება ეს არც მიზანი, არც პროგრამა, არც ტაქტიკა და არც თეორიაა.

რა გვანსხვავებს ჩვენ ანარქისტებისაგან ძირითად დებულებებში? კომუნიზმის ძირითადი დებულებაა: პროლეტარიატის დიქტატურა და მთავრობის ძალდატანების მოხმარა გარდამავალ ეპოქის დროს. ეს ძირითადი დებულებაა, მაგრამ სრულიადაც არა ჩვენი მიზანი. ამხანაგებს, რომლებმაც შემოიტანეს ამგვარი წინადადება არაფერი არ გაეგებათ კომუნიზმის ანბანის. შემდეგ წინადადებაა შემოსული ამოვშალოთ სიტყვა „უმრავლესობა" იმ თეზისებიდან, სადაც ნათქვამია, რომ ჯერ კიდევ არც ერთ ევროპიულ მასიურ კომპარტიას არ ჩაუგდია ხელში ფაქტიურათ მუშათა კლასის უმრავლესობის ხელმძღვანელობა ნამდვილ რევოლიუციონურ ბრძოლაში. და აი აქ სურთ სიტყვა „უმრავლესობით" ამოშალონ. თუ ასეთ ელემენტარულ საგნებზე არაა თანხმობა, მაშინ არც არაფერი გასაკვირი არაა, რომ შეუძლებელია შეთანხმება ძირითად დებულებებზე. მაჩვენეთ მე ის პარტია, რომელიც დაეუფლა უკვე მუშათა კლასის უმრავლესობას. ტერაჩინიმ არ მოიფიქრა ექნა ეს. გერმანიის კომპარტიასაც კი არა ყავს მუშათა კლასის უმრავლესობა. ეს ფაქტია. ჩვენ ჩვენი რევოლიუციის სამი წლის შემდეგაც არ გვეშინია ვთქვათ ეს სიმართლე. აქ კი სამ დელეგაციას სურს დაიწყოს სიბრუნდიდან. თუ კონგრესი ამოშლის ამ სიტყვას „უმრავლესობას", ამისთვის ხაზს გაუსვამს იმ გარემოებას, რომ სურს სიბრუნდე. შემდეგ შესწორებაში ნათქვამია: ამოიშალოს სიტყვა „ღია წერილი" და შემდეგ. მე მოვისმინე დღის უკვე სიტყვა, სადაც ვპოვე ეს აზრი. იქ ეს მიზანი იყო. ეს იყო ამხ. ჰემპელის სიტყვა, რომელიც ამბობდა იმის შესახებ, რომ „ღია წერილი" ოპორტუნისტულია. ჩემდა უდიდეს სამწუხაროთ მე უკვე მოვისმინე ამგვარი აზრი კერძო საუბარში. მაგრამ ის, რომ კონგრესი აცხადებს ღია წერილს ოპორტუნისტულათ—ეს უდიდესი სირცხვილია. და ახლა გამოდის ტერაჩინი სამი დელეგაციის სახელით და სურს ამოშალოს „ღია წერილი". რაღას ვეომებოდით მაშინ გ. კ. მ. პ. ღია წერილი პირველი ცდა იყო პრაქტიკული ცდით მოგვეზიდა მუშათა კლასის უმრავლესობა. ის, ვისაც ევროპაში, სადაც თითქმის მთელი პროლეტარიატი შეკავშირებულია, არ ესმის, რომ ჩვენ უნდა დავიპყროთ მუშათა კლასის უმრავლესობა, დაკარგულია კომუნისტურ მოძრაობისათვის, ის ვერასდროს ვერაფერს ვერ შეისწავლის. ტერაჩინი ამბობს, რომ რუსეთში ჩვენ გავიმარჯვეთ, თუმცა გვყავდა პატარა პარტია, და ის უკმაყოფილოა, რომ ჩვენს თეზისებში ჩეხო სლოვაკიის შესახებ ნათქვამია, რომ ჩეხო-სლოვაკიის პარტიამაც, რომელშიაც ირიცხება 400—500 ათასი წევრი, უნდა დაიპყრას აგრეთვე მუშათა კლასის უმრავლესობა. ტერაჩინი კვირობს: როგორ, 400—500 ათასია და კიდევ მაინც უნდა დაიპყროს ახალი?

მას ეშინია ამისი და სურს ამოშალოს ეს. რუსეთში ჩვენ ვიყავით პატარა პარტია, მაგრამ გვყავდა ჩვენს მხარეზე მუშათა და თითქმის გლეხთა საბჭოების უმრავლესობაც კი. სად გყავთ თქვენ ეს? ჩვენ გვყავდა ყოველ შემთხვევაში ჩვენს მხარეზე ათ-მილიონიანი არმიის ნახევარი მაინც.

მაჩვენეთ მე ის ქვეყანა, სადაც გყავდესთ თქვენ არმიის ნახევარი? ის, რასაც შლის [illegible], ამის წინააღმდეგ უნდა ვაწარმოვოთ გადამჭრელი ბრძოლა. აი რატომაა გამოვდივარ მე ჩვენი რეზოლიუციის დასაცავათ. და დეე ნუ უწოდებენ ამას პედანტიზმს—არცერთი იოტის შეცვლა არ შეიძლება მასში, ვინაიდან ყველა წარმოდგენილ ცვლილებებს პოლიტიკური ხასიათი აქვთ. ტერაჩინი იცავს შეტევას. შვრებოდა ის ამას დინამიკურ ტენდენციებსა და პასივობიდან აქტივობისაკენ გადასვლაზე დაყრდნობით. ამ დარგში გვქონდა ჩვენ პოლიტიკური გამოცდილება. 14 წლის განმავლობაში ვებრძვით ჩვენ მენშევიკებსა და ნახევრათ ანარქისტებთან. და რომ ჩვენ ეს არ გვექნა, არა თუ სამნახევარი წლის განმავლობაში, არამედ სამნახევარი კვირის განმავლობაშიაც ვერ შევინარჩუნებდით ჩვენ ხელისუფლებას. „დინამიკური ტენდენციები" და „პასივობიდან აქტივობისაკენ გადასვლა", ეს არის ის, რითაც გვებრძოდენ ჩვენ მემარცხენე ესერები. შემოტანილ შესწორებებში არაა მარქსიზმის არც ერთი სიტყვა. განა ჩვენ ჩვენს თეზისებში შეტევის თეორიას ვეხებით. თუ 15 წლის უკან ჩვენს რიგებში იყო სოციალ-დემოკრატი, რომელსაც ეჭვი შეჰქონდა იმაში, შეუძლია თუ არა რევოლიუციონურ პარტიას გადავიდეს შეტევაზე, ჩვენ მას დაუყოვნებლივ ვაცხადებდით ოპორტუნისტათ და ვებრძოდით მის წინააღმდეგ სასტიკ ბრძოლას ჩვენ. ეს იყო უკვე 15 წლის უკან. მაგრამ რომ ახლა რევოლიუციის სამნახევარი წლის შემდეგ საჭიროა დავა „დინამიკურ ტენდენციებსა" და „პასივობიდან აქტივობაზე გადასვლის" შესახებ,—ეს სირცხვილია. არაა მართალი, როდესაც ლაპარაკობენ შეტევის შესახებ გერმანიაში იმ დროს, როდესაც ასეთს არ ამზადებდენ. მარტის ამბები—ეს ნაბიჯია წინ, მიუხედავათ შემცდარი ხელმძღვანელობისა ეს არაა უბედურება. ფაქტია ის, რომ ასი-ათასობით მუშები გმირულად იბრძოდენ. რადეკი სამართლიანათ სწერდა ჰოლცის შესახებ. თუ ვინმე, იყოს ის თუ გინდ ანარქისტულიც, აწარმოებს გმირულ ბრძოლას ბურჟუაზიის წინააღმდეგ,—ეს უკვე ბევრია. ხოლო თუ ასი-ათასობით მუშები აწარმოებენ ბრძოლას სოციალ გამცემლების და ბურჟუაზიის გათახსირებულ პროვოკაციის წინააღმდეგ, ეს პირდაპირ ნამდვილი ნაბიჯია წინ. შეცდომების გაკრიტიკება საჭიროა, მაგრამ თუ ვინმე ასი ათასობით მუშების ბრძოლის შემდეგ გამოდის ამის წინააღმდეგ, როგორც ლევი, ის უნდა გამოირიცხოს. ჩვენ რუსეთში გავიმარჯვეთ და ადვილათაც გავიმარჯვეთ იმიტომ, რომ ჩვენ მოვამზადეთ ჩვენი რევოლიუცია იმპერიალისტური ომის დროს. ეს პირველი პირობაა. ათი მილიონი მუშა და გლეხი შეიარაღებული იყო, ჩვენი ლოზუნგი იყო „ზავი რაც არ უნდა იყოს". ჩვენ გავიმარჯვეთ იმიტომ, რომ კოლოსალური გლეხთა მასსა მემამულეების წინააღმდეგი იყო. ესერები, ბ.ბ. მე-2 და მე 2 ნახ. ინტერნაციონალიდან იყვნენ სექტემბერში 1917 წ. დიდ გლეხურ პარტიათ. ისინი მოითხოვდენ რევოლიუციონურ მოქმედებას, მაგრამ, როგორც ჭეშმარიტი გმირები მე-2 და მე 2-ნახ. ინტერნაციონალისას დაკარგული ქონდათ ომის უნარი. და ჩვენ ჯერ კიდევ აგვისტოში 1917 წ. ვამბობდით: თეორეტიულათ ჩვენ ვებრძოდებით [illegible] წინეთაც, პრაქტიკულათ კი მზად ვართ გვენახორციელოთ მათი პროგრამა. გლეხობა, რომელმაც ჯერ კიდევ ნოემბერში 1917 წ. ჩვენი გამარჯვების შემდეგ, გააგზავნა დამფუძნებელ კრებაში უმრავლესობა ესერები, დაჰყრობილ იქმნა ჩვენს მიერ რამდენიმე დღის შემდეგ თუ არა, რამდენიმე კვირის შემდეგ მაინც. ნეტავი იტალიაში ხომ არა? თუ ლაპარაკობენ, რომ ჩვენ რუსეთში გავიმარჯვეთ, თუმცაღა პატარა პარტია ვიყავით, ეს მხოლოთ იმის მაჩვენებელია, რომ მათ არაფერი არ გაუგიათ რუსეთის რევოლიუციის, არაფერი არ გაუგიათ იმის შესახებ, თუ როგორ ამზადებენ რევოლიუციას. ჩვენი მოძრაობის პირველი საფეხური იყო ნამდვილი კომპარტიების შექმნა. პირველ და მე-2 კონგრესზე ეს ნიშნავდა: ძირს ცენტრისტები. მაგრამ ჭეშმარიტად რევოლიუციონური პარტიებს დაარსება ეს მხოლოთ პირველი ამოცანაა. ეს მხოლოთ მოსამზადებელი კლასია. ახლა ჩვენ მე 3 კონგრესზე ვართ, და ტერაჩინი კი ისევ განაგრძობს მოსამზადებელ კლასიდან მაგალითების გარჩევას: გათიშვა ცენტრისტებთან, ძირს ცენტრისტები და სხვ. უმორჩილესათ გმადლობთ. ამან უკვე თავი მოგვაბეზრა. ცოტათი მაინც საჭიროა წინ წასვლა. უნდა გადავიდეთ შემდეგ კლასში. ბევრ ქვეყნებში ჩვენ ჯერ კიდევ არ ვფიქრობდით ამის დაწყებას. ჩვენ გავიმარჯვეთ რუსეთში იმიტომ, რომ გვყავდა მტკიცე უმრავლესობა არა მარტო მუშათა კლასში, არამედ არმიაშიაც და გლეხობაშიაც. თქვენში ეს ჯერ კიდევ არაა. ჩვენ უნდა მოვამზადოთ პროლეტარიატის დიქტატურა, ხოლო ეს კი ნიშნავს ამ გვარ აზრების წინააღმდეგ ბრძოლის წარმოებას.

აქ ძალიან ბეჯითათ სარგებლობენ სიტყვა „მასით" და პირდაპირ დაღრჩევენ ამ სიტყვის მნიშვნელობის გაგებას. ცნება მასსა იცვლება ბრძოლის პირობების შეცვლასთან ერთათ. ბრძოლის დასაწყისში საკმარისია ხანდახან რამდენიმე ათასი კაცის ყოლა, რომ ილაპარაკო მასაზე. ჩვენ ვიცით შემთხვევები, როდესაც პატარა ჯგუფები წარმოადგენდენ მასებს. მაგრამ, როდესაც მოძრაობა ვითარდება, იზრდება, უახლოვდება, ნამდვილ რევოლიუციას, იცვლება ცნებაც მასის შესახებ. აქ უკვე მასა არაა ერთი და ორი ათასი კაცია. ახლა მასა უკვე მუშათა კლასის უმრავლესობაა, და არა მარტო მუშათა კლასის, არამედ ყველა გაყვლეფილებისაც. და ის, ვისაც ეს არ ესმის, არაა რევოლიუციონერი. პატარა პარტიასაც კი შეუძლია მიიპოვოს თანაგრძნობა და მიიმხროს მთელი მასა—მილიონები მუშებისა, მაგრამ ამის მოხერხება საჭიროა. აქ კი გამოდიან ამხანაგები და წინადადებას იძლევიან ამოვშალოთ ყოველგან სიტყვა „უმრავლესობა". მე დაჟინებით ვიძლევი რჩევას ვაწარმოვოთ ბრძოლა ასეთ ამხანაგებთან. აუცილებელი საჭიროა შევისწავლოთ ნამდვილი რევოლიუციონური ბრძოლის წარმოება. გერმანიის მუშებმა უკვე დაიწყეს ეს. ასი ათასობით გერმანელი პროლეტარები იბრძოდენ გმირულათ. ყველა, ვინც კი გამოდის ამის წინააღმდეგ, მაშინათვე გამორიცხულ უნდა იქნეს. მაგრამ გამორიცხავთ რა მას, არ უნდა გადავყვეთ ფრაზებს და ვისწავლოთ შეცდომებზე, არ უნდა შევუშინდეთ მათ გამომჟღავნებას მტრების წინაშე. პირიქით ჩვენ აშკარათ უნდა ვუთხრათ მუშებს: აქ ჩვენ შევცდით, ეს იმას ნიშნავს, რომ ახლო მომავალში ამ შეცდომას არ დავუშვებთ. და ჩავითრევთ რა ბრძოლაში მუშებისა და საერთოთ გაყვლეფილების უმრავლესობას, ჩვენ გავიმარჯვებთ.

ამხ. მიხალაკი იცავს საერთოთ მარტის გამოსვლებს, თუმცა ნახულობს მასში ზოგიერთ შეცდომებს პოლონეთის დელეგაციის სახელით ის მხარს უჭერს იტალიის დელეგატის, ტერაჩინის მიერ წარმოდგენილ შესწორებებს თეზისებში.

შემდეგ გამოდის **ამხ. გოგანი,** (ინგ. კომპარტია) რომელიც მიდის ამხ. რადეკის წინააღმდეგ. მას უსაფუძვლოთ მიაჩნია ამხ. რადეკის კრიტიკა ინგლისის კომპარტიის წინააღმდეგ და იცავს ინგლისის კომპარტიის ქცევას მემაღაროეთა გაფიცვის დროს. ამხ. რადეკის კრიტიკა არაა სამართლიანი,—ამბობს დასასრულ ორატორი,—ვინაიდან პარტიამ ყველაფერი ქნა, რისი ქნაც კი შეიძლებოდა ინგლისში არსებულ პირობებში.

ამხ. ილია მგელაძეს

გულის შემაზარი ამბავი გავიგეთ, ელვის სისწრაფით მოედო ჩვენს წრეებს ჩვენი ძველი მებრძოლის ძველი კომუნისტის, ამხ. ილია მგელაძის სიკვდილის ამბავი, რომელმაც მოგვიწამლა აზრი და გონება. მისი დაკარგვა დიდი დანაკლისია ყველასთვის, მით უმეტეს თბილისის მაზრისთვის, სადაც ის დღე და ღამ მუშაობდა დაუღალავათ, ემსახურებოდა საერთო საქმეს. მისმა სიკვდილმა დააობლა გული, წუხარებით აღავსო ის. მასში დავკარგეთ ერთი საუკეთესო ხელმძღვანელი და ლამპარი კომუნიზმის გზისაკენ. მინდა ვტიროდე. მაგრამ ცრემლები არ შეშვენის გმირს და მოხუც არწივს.

ხვალ მივალთ უკანასკნელათ შენი გასვენებული ცხედრის წინაშე, ამხანაგო, და იქ დავდებთ ფიცს, რომ შენი დაწყებული საქმე მივიყვანოთ გამარჯვებამდის. ვსდებთ ფიცს, რომ ის დროშა რომელიც შენ ხელთ გეპყრა დარჩება ისევ, უწიკლოთ ბოლომდის, როგორც შენ ქონდა შენახული, როგორც შენი წმინდათა წმინდა.

მშვიდობით, ამხ. ილიკო, შენ განისვენე ტკბილის ძილით, შენი სახელი წარუშლელი დარჩება შენს მოწაფეთა შორის.

ხვალ უკანასკნელათ ფიცს დავსდებთ შენი ცხედრის წინაშე, რომ უკანასკნელ სისხლის წვეთამდის ვიბრძოლებთ შენს მიერ დაწყებული საქმის საბოლოოთ გამარჯვებისათვის.

გოგიტო ციმბირელი.

ამხ. ილიკო მგელაძის დასაფლავება

კვირას 10 სექტემბერს ამხანაგებმა მიწას მიაბარეს ძველი რევოლიუციონერი ამხ. ილიკო მგელაძე. დაკრძალვა მოხდა დიდუბეში. დილიდანვე ამხანაგები მწუხარეთ, წითელი დროშებით, გაემართენ განსვენებულის ბინისკენ რუსთაველის პროსპექტით. დიდძალი ხალხი მოგროვილიყო სერგიევის ქუჩა, სადაც განსვენებულის ბინა იმყოფებოდა, მთელი სიგრძით გაჭედილი იყო. ცხადია, რომ ფართო საზოგადოებამ აუნაზღაურებელ დანაკლისად მიიჩნია ამხ. ილიკოს სიკვდილი. მის დაკრძალვაზე ჩამოსულიყვნენ მთელი თბილისის მაზრის მუშურ-გლეხური მილიცია და პასუხისმგებელი ამხანაგები.

შუა დღის 3 საათზე მთელი ეს პროცესია დიდუბის ტაძრის გალავანში იყო ცხედრის კუბოსთან და ისმენდა მრავალი ამხანაგების ილიკოს სადმი გამოსათხოვარ სიტყვებს. წარმოსთქვეს გრძნობით სავსე სიტყვები შემდეგმა ამხანაგებმა: ფილიპე მახარაძემ, ვლ. სუხიშვილმა, დონაძემ, სანდრო ქურიძემ და სხვ. ყველა ამათ ხაზი გაუსვეს ამხ. ილიკოს [illegible] ღვაწლს რევოლიუციისადმი, განსაკუთრებით საქართველოს მშრომელი ხალხის მენშევიკების ბატონობისაგან განთავისუფლებლად გაწეულს.

ნაშუადღევს 5 საათზე დაკრძალვა დასრულდა.

ხევსტა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო სასურსათო კომისარიატის წარმომადგენლების და ცეკავშირის გამგეობის

ა. წ. აგვისტოს 26-ის თათბირი

თათბირი გაიხსნა საღამოს 7 ნახ. საათზე ცეკავშირის მთავარი კანტორის ბინაზე.

თათბირს დაესწრნენ: სახალხო სასურსათო კომისარიატის მხრივ ამხ. ა. ერქომაიშვილი, ვ. ელერდოვი, ცეკავშირის გამგეობის მხრივ ამხ. ქ. ანდრონიკაშვილი, ე. ხ. დარჩია, შ. გ. რამიშვილი, ხ. გ. წერეთელი, გ. მ. წულუკიძე. სახალხო სასურსათო კომისარიატის კოლეგიის წევრმა ამხ. ხ. ბდანაიამ გვიან მოსვლის გამო მონაწილეობა მიიღო მხოლოდ თათბირის მიერ უკანასკნელათ განხილულ საკითხზე აზრთა გაცვლა-გამოცვლაში.

თათბირს თავმჯდომარეობდა ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარე ამხ. ქ. ანდრონიკაშვილი, ოქმს ჰნიშნავდა ცეკავშირის გამგეობის მდივანი ამხ. [illegible].

თავმჯდომარემ, გამოაცხადა რა თათბირი გახსნილათ, მოიწოდა ამხ. ა. ერქომაიშვილს, როგორც ამ თათბირის მოწვევის ინიციატორს, განემარტა თათბირის მოწვევის საგანი.

1. ამხ. ა. ერქომაიშვილმა განაცხადა, რომ სახალხო სასურსათო კომისარიატის წინაშე დგას ორი დიდი ამოცანა: ხალხის გადასახადის შეკრება და საქონელზე გადაცვლით პირნახულის დამზადება. უნდა გამოირკვეს თუ პირნახულის რა რაოდენობის მოცემა შეუძლია საქონლის გაცვლის ნიადაგზე ორგანიზებული დამზადება, ეს საკითხი მეტად საშურია. მოსკოვი მოითხოვს კომისარიატისაგან პასუხს ამ საკითხზე, რომ ამის მიხედვით განისაზღვროს გამოსაგზავნ საქონლის რაოდენობა. ცეკავშირის გამგეობამ უნდა უთხრას სასურსათო კომისარიატს—რამდენი პირნახულის შეგროვება ძალუძს საქართველოს კოოპერაციას თავის აპარატით, თუ მას მიეცა კომისარიატისაგან სხვა და სხვა ფართო მოთხოვნილების საგნების საკმარისი მარაგი. ცეკავშირმა უნდა თქვას, თუ როგორ უყურებს იგი თავის ურთიერთობას სახალხო სასურსათო კომისარიატთან პურეულის მოგროვების საქმეში: სურს თუ ცეკავშირის მიერ სახალხო სასურსათო კომისარიატისაგან ამ დავალების ნაირიდის სახით მიღება, თუ იგი შეუთანხმდება კომისარიატს პირობის შესახებ წლიურის გაცვლა-გამოცვლით. ოღონდ კოოპერაცია თვისი თავისი აპარატით მოვალე იქნება [illegible] დაკისრებულ სასურსათო გადასახადის შეკრებაში და საქონელზე გაცვლით პირნახულის დამზადებაში. ცეკავშირის დღემდე არ უთქვამს უარი სახალხო სასურსათო კომისარიატის არც ერთ დავალების შესრულებაზე და კომისარიატი არც ერთ [illegible] უარს, მას მხოლოდ სურს მიიღოს ცეკავშირისაგან პასუხი პირნახულის დამზადება შეგროვებასთან დაკავშირებულ პრაქტიკულ საკითხებზე.

ცეკავშირის გამგეობის წევრი ამხ. გ. წულუკიძე ამხ. ა. ერქომაიშვილის მიერ წამოყენებულ საკითხის გამო მოახსენებს თათბირს, რომ უფრო მიზანშეწონილი იქნება გადმოეცეს კოოპერაციას პირნახულის დამზადება არა მხოლოდ საქონელზე, არამედ ფულიც—ნახევარი გადმოსაცემი მთელი ფულით, ხოლო ნახევარი საქონლით, ვინაიდან დამზადების ხარჯები უკვე იწყება, საქონლის მიღებამ კი შეიძლება დაიგვიანოს; ფულის თავის დროზე მიღება [illegible] ძლევა არ შეეფერება [illegible] და საქონლის მოვლენ [illegible] დამზადებამ იწარმოვოს ფულზე პირნახულის შეძენით. სახალხო სასურს. კომისარიატი, გაცნობილი ცეკავშირის საქმიანობას, დარწმუნებული უნდა იყოს, რომ თუ ვინმე შესძლებს მათ მიერ დასახულ ამოცანათა შესრულებას,—ეს საქართველოს კოოპერაცია თავის აპარატით. ეს დავას არ იწვევს და ცეკავშირი არ ამბობს უარს ამ სამუშაოზე. დავა ცეკავშირსა და სასურსათო კომისარიატს შორის შეეხება ამ ამოცანის განხორციელებასთან დაკავშირებულ პრაქტიკულ საკითხებს. პირველ ყოვლისა ცეკავშირი სადავოთ ხდის კომისარიატის ვარაუდს. კომისარიატი, ეყრდნობა რა სტატისტიკურ ცნობებს, იმედოვნებს, რომ საქართველოში შეიძლება შეკროვდეს მილიონ ნახევარი ფუთი ხორბალი. ცეკავშირს ეს ციფრი მეტათ სადავოთ მიაჩნია. წინა წლებში მიღებული გამოცდილება, მიმდინარე წლის მოსავლის ბედკეთილობის შესახებ სხვა და სხვა რაიონებიდან მიღებული ცნობები და თვით სახალხო სასურსათო კომისარიატის ადგილობრივ მომუშავეთა პასუხით მომხდარი თათბირის აზრი ადასტურებენ, რომ შეიძლება შეგროვდეს არა უმეტეს 700,000 ფუთისა, ეს ციფრი მაქსიმალურია. საჭიროა დამზადება დაჩქარდეს, დაგვიანება ამ საქმეში ამაც [illegible] შესრულებასაც სადავოთ გახდის. უნდა გაეწიოს ანგარიში სოფლის მცხოვრებლის ფსიქოლოგიას; იგი ახალ მოსავლის უფრო მეტი ხალისით გამოიღებს. ეს ცეკავშირმა გამოცდილებით იცის. პირნახულზე გადასაცვლელათ საჭიროა ფართო მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელი საგნები, როგორც მაგალითად, ფართალი, საპონი, სხვა და სხვა რკინეულობა, ჭურჭელი, მარილი, ხავთი, ასანთი და სხვა ამგვარი. გარდა ამისა საჭირო იქნება ზოგიერთ რაიონებისათვის განსაკუთრებული ზომების შემუშავება, რათა სპეკულიანტურმა კერძო სავაჭრო აპარატმა არ გასწიოს აქ კონკურენცია და გლეხობამაც არ გადამალოს პირნახული.

ამხ. ხ. წერეთელს სურს გაიგოს—კოოპერაციამ უნდა მიიღოს მონაწილეობა მხოლოდ ხორბალზე სასურსათო გადასახადის შეკრებაში, თუ სხვა ადგილობრივ ნაწარმოებთა შეკრებაშიდაც.

ამხ. ერქომაიშვილი ამხ. ს. წერეთელის შეკითხვის საპასუხოთ განმარტავს, რომ სასურსათო გადასახადი ვრცელდება არა მხოლოდ ხორბალზე, არამედ სხვადასხვა ადგილობრივ ნაწარმოებზედაც. ყოველ მაზრაში იქნება რამოდენიმე პუნქტი სასურსათო გადასახადის მისაღებათ. ამ პუნქტებში სათანადო კოოპერატიულ კავშირთა დავალებით ადგილობრივ არსებული პირველი საფეხურის კოოპერატივები მიიღებენ სასურსათო გადასახადით შეკრებილ სხვადასხვა ნაწარმოებებს. იძულებითი აპარატი და ტექნიკურა მთავრობის იქნება, კოოპერატივის გაგება მხოლოდ ჩაბარების მოციხილს, მთავრობის იქნება აგრეთვე საკონტროლო აპარატი. კოოპერაცია მხოლოდ შენახველი იქნება სასურსათო გადასახადით შეკრებულის. ყოველ მაზრაში იქნება ძირითადი მთავარი საწყობები და კოოპერატივების მიერ მიღებული ნაწარმოებები ხანგამოშვებით და თუც შეიძლება ხშირ ხშირად ამ საწყობებში გამოიგზავნება. თუ რომელიმე კოოპერატივი არ არის ენერგიული, სათანადო კავშირებს მოეთხოვება ასეთ კოოპერატივებში უფრო ენერგიულ გამგეობის ჩაყენება.

ამხ. ე. ხ. დარჩია მეტად სერიოზულ საკითხად აღიარებს ამხ. ა. ერქომაიშვილის მიერ დასახულ ორ ამოცანის ერთი მეორისაგან განსაზღვრას. მისი აზრით სასურსათო გადასახადის შეგროვება და საქონელზე გაცვლით პირნახულის შეკრება ერთსა და იმავე დროს განხორციელებაში ვერ იქნება წარმოებული—უნდა გამოირკვეს რომელი ამ ოპერაციათაგანი იქნება შესრულებული პირველ რიგში და რა სახით მონაწილეობს ერთში და მეორეში კოოპერატიული აპარატი. ორივე ამოცანის ერთსა და იმავე დროს დაწყება არ იქნება მიზანშეწონილი. პირველ რიგში სასურსათო გადასახადის მოგროვება უნდა დასრულდეს.

ამხ. გ. წულუკიძეს სურს გაიგოს თუ როდის დაიწყება სასურსათო გადასახადის შეკრება.

ამხ. ა. ერქომაიშვილი ამხ. გ. წულუკიძის და ე. დარჩიას მიერ აღძრულ კითხვების საპასუხოთ განმარტავს, რომ სახალხო სასურსათო კომისარიატს უკვე შექმნილი აქვს სასურსათო გადასახადის შემკრები აპარატი, შეკრების დაწყება განზრახულია ამ ერთ კვირაში. სახალხო სასურსათო კომისარიატმა უნდა მიიღოს ცეკავშირისაგან ცნობები იმის შესახებ, თუ რომელ მიზნისათვის რა ზომები უზრუნველყოფენ განზრახულ ოპერაციათა სასურველათ ჩატარებას. თუ საჭიროა რომელიმე რაიონის დაკეტვა ხორბალის დამალვისა და თავისუფლათ გაყიდვა-გამოზიდვის შესაძლებლობათა ასაკვეთათ, სახალხო კომისარიატი ამ ზომებს მიმართავს. ცეკავშირს ხორბალის დასამზადებლათ მიღებული საქონელი შეუძლია ამავე მიზნით გამოიყენოს რესპუბლიკის საზღვრებ გარეთაც. ამ მხრივ კომისარიატი მას აღმოუჩენს ყოველგვარ დახმარებას. სასურსათო კომისარიატი ფიქრობს, რომ სასურსათო გადასახადის შეკრება დასრულდება ხორბალზე გადასაცვლელად საქონლის მიღებამდე; ამრიგათ ეს ორი ოპერაცია ერთსა და იმავე დროს არ იწარმოება. სახალხო კომისარიატისთვის საინტერესოა და მეტათ საშური დაიდოს ხელშეკრულება ცეკავშირთან. ეს გარემოება დააჩქარებს მოსკოვიდან საქონლის საჭირო მარაგის მიღებას. ამხ. გ. წულუკიძის ვარაუდი იმის შესახებ, თუ ხორბალის როგორი ჯამი შეიძლება შეიკრიბოს არ არის სულ უსაფუძვლო მაგრამ სასურსათო კომისარიატს აქვს რამოდენიმეთ უტყუარი ცნობები, რომ პურეულით მდიდარ რაიონებში ზედმეტი ხორბალი (ИЗЛИШКИ) მილიონ ფუთს აღემატება. სასურსათო გადასახადის შემკრები ადმინისტრატიული აპარატი მთავრობისაა, გადაზიდვის საშუალებანიც მთავრობის იქნება.

ამხ. შ. რამიშვილი და ე. დარჩია ამხ. ა. ერქომაიშვილის განმარტების გამო უპასუხებენ მას, რომ იგი თავის ვარაუდის გამონაგარიშების დროს არ ღებულობს მხედველობაში, რომ ამ ზედმეტ ხორბალის მსყიდველებით გამოვლენ ახლაც გამოდიან სხვა ორგანიზაციებიც, მაგალითად, სამხედრო უწყება.

ამხ. ა. ერქომაიშვილი განმარტავს, რომ სამხედრო უწყებას არ აქვს უფლება აწარმოოს დამოუკიდებლათ ხორბლეულის შეძენა, ყოველ შემთხვევაში სახალხო სასურსათო კომისარიატსა და ცეკავშირს შორის საქონლის გაცვლით ხორბლეულობის დამზადებაზე ხელშეკრულების დადება ყოველგვარ გაუგებრობას აღკვეთს ამ ნიადაგზე მომავალში.

ამხ. ხ. წერეთლის აზრით კოოპერაციის მიერ პურეულობის დაგროვება სასურსათო გადასახადით დიდათ გაადვილდება და სასურველათაც დამთავრდება, თუ მთავრობის მხრივ ამ საქმეში კოოპერაციას მიეცემა ტექნიკური და ადმინისტრატიული აპარატებით დახმარება, მაგრამ დიდი გაუგებრობა, სიძნელე დაბრკოლებები აღიმართება კოოპერაციის წინაშე, თუ ამ სახითვე იწარმოება ისეთი ნაწარმოებების შეკრებამ, როგორც, მაგალითად, კარტოფილი, ღვინო და სხვა ამ ამგვარი. კერძოთ ღვინის მოსავლისაგან გადასახადის აღება კოოპერატივების მიერ, რომელთაც მისთვის არ აქვთ სპეციალური საწყობები და ბიმყელე სპეციალისტთა პერსონალი, ტექნიკურათ წარმოუდგენელია.

ამხ. ვ. ელერდოვი მოახსენებს თათბირს, რომ მთავრობა ამხ. ერქომაიშვილის მიერ მოხსენებულ ამოცანათა ცხოვრებაში გასატარებლათ საჭიროებს აპარატს. მთავრობისათვის სულ ერთია თუ ვინ შეასრულებს ამ დანიშნულ აპარატის როლს კოოპერატიული აპარატი თუ მთავრობის მიერ შექმნილი კერძო აგენტურა. ამ შემთხვევაში ცეკავშირი მთავრობისათვის მხოლოდ დამხმარე აპარატია, მთავრობა მას იყენებს თავის სახელმწიფო ფუნქციის საქმიანობაში. თუ რომ ცეკავშირის აპარატი არ ყოფილიყო, მთავრობა სხვა აპარატს შექმნიდა და მას დაეყრდნობოდა. განზრახულ სასურსათო ამოცანების ცხოვრებაში გატარებასთან იმით გარდა რომელზედაც ამხ. ს. წერეთელმა მიგვითითა მრავალი სხვა პრაქტიკული ხასიათის საკითხებია დაკავშირებული და ამათზე ცეკავშირს მოუხდება ფიქრი და მუშაობა. ცეკავშირი იძულებული იქნება მიბარებულ სასურსათო გადასახადის მოვლაზე იზრუნოს. საერთოდ ცოტა ხნის განმავლობაში ცეკავშირთან თანამშრომლობა არწმუნებს მას ამხ. ელერდოვს, რომ ცეკავშირი ერთგვარ გულგრილობას ამჟღავნებს სახალხო სასურსათო კომისარიატთან თანამშრომლობისადმი. რუსეთში სულ სხვა მდგომარეობაა. იქ თვითონ კოოპერაცია ამოძრავებს და ამოქმედებს მთავრობის სასურსათო ორგანოებს. დროა აქ არსებულ არა ნორმალურ ურთიერთობას მოეღოს ბოლო; ცარიელი შეთანხმება მოლაპარაკებით ამ შედეგს ვერ მივაღწევთ, საჭიროა საქმიანი თანამშრომლობა, კონტაქტის დამყარება ურთიერთშორის. ამხ. ა. ერქომაიშვილის განცხადება კოოპერაციასთან დასადებ ხელშეკრულების შესახებ მისთვის ამხ. ელერდოვისათვის, მიუღებელია: ამ ხელშეკრულებას არ აქვს მოსკოვიდან საქონლის მიღების დამჩქარებელ გარემოების ხასიათი მხოლოდ ეს ხელშეკრულება საფუძვლათ უნდა დაედოს ურთიერთიადი ნდობით აღსავსე, კონტაქტიურ საქმიანობას.

ამხ. შ. რამიშვილს საკითხი ამოწურულათ მიაჩნია. აზრთა გაცვლა-გამოცვლამ გამოარკვია და ეს წინეთაც ცხადი იყო რომ კოოპერაცია ღებულობს მთავრობის დავალებას ხორბალის შეგროვებასა და სასურსათო გადასახადის გატარების საქმეში. ის ტექნიკური ხასიათის საკითხები, რომელზედაც ამ თათბირზე იყო მსჯელობა, შედარებით წვრიმალია. მათ შესახებ დაგვჭირდება ფიქრი, მუშაობა ეს შემდეგში გამოვარკვიოთ, სხვა გზით თუ როგორ ძირის კოოპერაციამ სასურსათო გადასახადი, როგორ შემოწმოს მისი სიავ-კარგე და სხვა ამგვარი. ამ თათბირზე მხოლოდ ზოგადი საკითხი გადაკრათ. ცეკავშირი მზად არის დადოს სათანადო ხელშეკრულება სახალხო სასურსათო კომისარიატთან. სასურსათო გადასახადის მოკრეფა უნდა მოთავდეს, რომ შემდეგ შეუდგეთ საქონელზე გაცვლით ხორბლეულობის დამზადებას. პირველ ოპერაციის წარმოების ხანაში ჩვენ შევქმნით და გავამაგრებთ ხორბალის შემსყიდველ აპარატს. ხორბლეულის მიღების საკითხი დღევანდელ თათბირის მიერ უკვე ამოწურულია, ხოლო საკითხი ხილეულის და სხვა ამგვარის მიღება განსაკუთრებით დაკავშირებულ ტექნიკურ დაბრკოლებებზე მოითხოვს სპეციალური ცოდნით აღჭურვილ პირთა ამ საქმეში გარევას. პრინციპიალურათ კი ჩვენ ამ სამუშაოზედაც არ ვამბობთ უარს.

თავმჯდომარის წინადადებით თათბირმა კითხვა დასრულებულათ აღიარა და ერთხმათ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

ცეკავშირი ღებულობს თავის თავზე საქართველოს კოოპერატიულ აპარატის საშუალებით სასურსათო გადასახადის და საქონელზე გაცვლით ადგილობრივ ნაწარმოებთა და ხორბლეულობის შეგროვებას.

ამ ვალდებულების შესრულებაში სახალხო სასურსათო კომისარიატი თავის მხრივ ყოველ-მხრივ დახმარებას უწევს ცეკავშირს.

საქონელზე გაცვლის საშუალებით უნდა შეგროვებულ იქნეს არა ნაკლებ 700.000 ფუთ ხორბლეულისა.

ამ დავალებათა კოოპერაციის მიერ თავის თავზე მიღების შესახებ მოხდეს წერილობით გაცვლა-გამოცვლა ცეკავშირისა და სახალხო სასურსათო კომისარიატს შორის.

დაიდოს სახალხო კომისარიატსა და ცეკავშირს შორის სათანადო ხელშეკრულება.

შემუშავდეს საქართველოს კოოპერაციისათვის ამ ვალდებულებათა განხორციელების დროს სახელმძღვანელო დებულებანი ინსტრუქციის სახით.

ინსტრუქციის პროექტი წინასწარ ძალაში შესვლისა მოხსენდეს განსახილველათ სახალხო სასურსათო კომისარიატის წარმომადგენელთა და ცეკავშირის გამგეობის თათბირს.

(დასასრული იქნება)

ქ რ ო ნ ი კ ა

— თბილისის განმტვირთავ ცენტრალურ საუწყებათაშორისო კომისიამ მიმართა საგარეო სახალხო კომისარიატს თხოვნით, რომ შეატყობინოს უცხოელ მისიებს, განსაკუთრებით: იტალიის, სპარსეთის და ესპანეთის, რათა ისინი უფრო მკაცრად მოეკიდონ მათ მიერ წარმოდგენილ სახელმწიფოთა მოქალაქეების პირადობის და [illegible] შემამოწმებელ მანდატების გაცემას.

◆ **სახელმწიფო გამომცემლობაში.** სახელმწიფო გამომცემლობის გამგის მოადგილემ წინადადება მისცა გამომცემლობის ტექნიკურ აპარატს, მიიღოს სწრაფი ზომები საჩქარო გამოსაცემათ ამჟამათ დასაბეჭდათ გამზადებულ პოლიტიკურ პარტიულ ხასიათის ბროშიურებისა. ამ დღეებში გამოვა ბეჭდიდან: სტენოგრაფიული ანგარიში და რეზოლიუცია კომუნისტურ პარტიის მე-10 ყრილობისა (ქართ. და რუს. ენაზე) „რისთვის იბრძვის წითელი ლაშქარი“ (ქართ. ენაზე.) „კომუნალურ მეურნეობის წარმოების წესდება“ (ქართ. ენაზე) და სხვ. სახელმწიფო გამომცემლობამ ჩააბარა ასაწყობათ სახელმძღვანელო—ქრისტომატია ქართ. ენაზე, „თიგული“. ეს წიგნი როგორც საჭირო მთელი რესპუბლიკის სკოლებისთვის, გადაწყვეტილია გამოიცეს 50,000 ცალი. მუშაობა სწარმოებს სასწრაფოთ.

◆ **„საქართველოს სახალხო მეურნეობა“.** ამ დღეებში გამოსულ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ორგანოში ქართულ ენაზე ჟურნალ „საქართველოს სახალხო მეურნეობა“-ში მოთავსებულია შემდეგი წერილები: 1) ჩვენი მიზნები, 2) საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოთა 1 ლ ყრილობისათვის, 3) ი. ყიფშიძე—ტყვიბულის ქვანახშირის მღაროები და მათი მნიშვნელობა საქართველოსათვის, 4) პროფ. ავალიანი—მეცხვარეთა პროფესიონალური კავშირი. ამას გარდა მოთავსებულია მთელი რიგი წერილებისა და შენიშვნებისა, რომელნიც ეხებიან სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს უშუალო მოქმედებას. მათ შორის აღსანიშნავთ შენიშვნებს თამბაქოს ქარხნების წარმოებაზე საქართველოში. სატრანსპორტო და სამასალო ნაწილზე, საქართველოს ელექტროფიკაციაზე. საქართველოს წარმოებითი საშუალებანი და სხვა. ჟურნალში ბევრი ქრონიკული ცნობებია საბჭოთა და საზღვარ-გარეთის ეკონომიური ცხოვრებაზე.

წარმოებითი პროფკავშირებში

მბეჭდავთა საზოგადო კრება 11 სექტემბერს.

(დასასრული, იხ. „კომ“ № 159)

დამარცხდნენ მენშევიკები, გვიმარჯვეთ ჩვენ, კომუნისტებმა, მაგრამ მბეჭდავთა პროფკავშირმა და მისმა ხელმძღვანელმა, კომფრაქციამ, სათანადოთ უნდა შეაფასოს შექმნილი მდგომარეობა.

სოლომონ ვადაჭკორიამ, მენშევიკების ლიდერმა, რომელმაც განაცხადა, რომ ისინი ვერ ასწრებენ „სხვა პარტიებთან და უპარტიოებთან შეთანხმება მოლაპარაკებას“, — სიცრუე სთქვა, რადგანაც მათ ამის სრული თავისუფლებაც აქვთ და ამ თავისუფლებას [illegible] იყენებენ. ყველაფერი ეს მათ ძალიან კარგათ იციან. ისინი თავისუფლათ დაძრწიან ყველა სტამბებში და ეწევიან აგიტაციას კომუნისტების წინააღმდეგ, ავრცელებენ ათასნაირ ჭორებს და იმედს აძლევენ მუშებს, რომ კომუნისტების ავტონომიას საქართველოში მალე მოეღება ბოლო, რადგანაც „განათლებული ევროპა—ანტანტა მათ მხარეზე არის და დღეს თუ არა ხვალ, მათი დახმარებით, ისევ ჩვენ ვიბატონებთო“. ყველაფერი ეს ჩვენ ვიცით, ყველა ამას უკვე გვაგონებენ, ამის „არც სცხვებიათ და არც ეშინიათ!..“

აი ამას უნდა მიაქციოს ყურადღება მბეჭდავთა კომფრაქციამ და ყველა მის კომიჩეიკებმა ადგილობრივათ. კომიჩეიკებში და შემდეგ ყველა მუშებში უნდა აუხსნან მენშევიკების სულისკვეთება, მათი ზრახვები და გამცემლობა.

მათ, მენშევიკებს უნდოდათ განემეორებინათ მოსკოვის მბეჭდავთა ისტორია, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ.

ბეჭდვითი წარმოება, ეს ყუმბარების არსენალია საბჭოთა ხელისუფლებისა და გასაკვირი კი არა, ადვილი ასახსნელია, თუ რატომ მოდიან შტურმით მენშევიკები განსაკუთრებით ჩვენს კავშირზე როგორც რუსეთში, ისე აქ.

დღეს, და მხოლოდ დღეს, საბჭოთა მეუფების დროს, მუშებმა გაშალეს თავისი ენერგია, მუშების ფართე წრეებს, თავგანწირული ბრძოლის შემდეგ, დღეს მიეცათ საშუალება და შესაძლებლობა შრომის განთავისუფლებისა ყველაფერ ჩაგვრისაგან და სოციალიზმის დამყარებისა. აქ, ამ დიად გარდაქმნაში მენშევიკები ყოველივე საშუალებას ხმარობენ, რომ ხელი შეგვიშალონ. ჩვენ ვაგებთ და ვაწყობთ მათგანვე ანგრეულ და დანგრეულ წარმოებას, ჩვენ მანქანებს და საწარმოვო იარაღებს მუშებს ვაძლევთ, ვისაკუთრებთ; აქ საჭიროა დიდი და შეგნებული მუშური წინდახედულობა, აქ დიდი ორგანიზაციული უნარია საჭირო. აქ არის დაბანდებული მოწინავე მუშების შემოქმედება და ენერგია, აქ, არ ვმალავთ, ბევრია შეგნებული და პატიოსანი მუშაკი, მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ბეჭდვითი საქმის მუშებმა, პარიჟსკენ შემყურე მენშევიკებს ჩააბარონ თავიანთი საქმე, არამედ ჩვენ ყოველივე მუშას, შეგნებულ, პატიოსან მუშას, იქნება ის უპარტიო თუ პარტიული, თუ კი ის სდგას მუშათა კლასის გამარჯვების—დიქტატურის ნიადაგზე ხელგაშლით, და, თუ გინდა ხვეწნითაც კი შევიერთებთ.

უპარტიო მუშებმა უნდა იცოდნენ, რომ მენშევიკები მათთვის არაფერს არ აკეთებდნენ. მათ უნდა გაითვალისწინონ, რომ კომუნისტურმა პარტიამ და მისმა მთავრობამ მისცა მათ უფასო სასადილოები, უფასო პური, უფასო ტანსაცმელი, სადალაქოები, აბანოები და მრავალი სხვა. მართალია ყველა ეს არ არის სრული, გვაქვს ნაკლი, მაგრამ ამას ვერ იზამდნენ ბურჟუაზიის ლაქიები, მენშევიკები ყველა ამის მიცემა შესძლო მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ, რომლის მეთაური არის კომუნისტური პარტია—და აი, ამის ახსნა და განმარტება საჭირო, რომ მუშების ფართე წრეებმა იცოდნენ, იცოდნენ უპარტიოებმა, თუ ვისგან ხდება ყველა ეს.

მენშევიკების გამცემლურ აგიტაციას ბოლო უნდა მოეღოს, რომ მათ დისტანსი არ შექონდეთ საბჭოთა ხელისუფლების ძლიერების მოშენებლობისა და განმტკიცებისათვის წარმოებულ მუშაობაში.

სანდრო იაშვილი.

მბეჭდავთა კავშირის წევრთა კრება.

შაბათს, 10 სექტემბერს, საღამოს 10 საათზე შესდგა თბილისის მბეჭდავთა კავშირის წევრთა საზოგადო კრება. დაესწრო 430 წევრი. დღიური წესრიგი: 1) მიმდინარე მომენტი, 2) დელეგატთა არჩევნები სრულიად საქართველოს მბეჭდავთა სიეზდზე და 3) მიმდინარე საქმეები.

კრების პრეზიდიუმი დაასახელეს კომფრაქციამ და მენშევიკებმა. 160 ხმის უმრავლესობით ამორჩეულ იქნა პრეზიდიუმი შემდგარი კომუნისტებისაგან. მომენტზე მოხსენება გაკეთა ამხ. ფ. მახარაძემ ქართულად და რუსულათ. მომენტზე საზოგადო კრებამ გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია:

ჩვენ, ბეჭდვითი საქმის პროფკავშირის წევრებმა ქ. თბილისის, ჩვენს საზოგადო კრებაზე მოვისმინეთ რა ამხ. ფ. მახარაძის მოხსენება მიმდინარე მომენტზე, კიდევ ერთხელ დავრწმუნდით იმაში, რომ ერთად-ერთი სისტემა, რომელსაც შეუძლია და ძალუძს მშრომელი ხალხი განთავისუფლოს კაპიტალიზმის უღლიდან ე. ი. ცარცვა ყვლეფისაგან—ეს არის საბჭოთა ხელი უფლება, რომელსაც ხელმძღვანელობს ბრძოლის ცეცხლში გამოწრთობილი კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა).

მეორე საკითხზე ამხ. ს. იაშვილმა გამგეობის სახელით განაცხადა, რომ გამგეობამ მიიღო საპროტესტო განცხადება 135 უპარტიო წევრისაგან, რომელთაც 26 აგვისტოს არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღიათ და მოითხოვენ ხელმეორე არჩევნებს. გამგეობას აგრეთვე არ შეეძლო ანგარიში არ გაეწია და უყურადღებოთ დაეტოვა ის მოვლენაც, რომ მემარცხენე სოც. ფედერალისტებმა განაცხადეს, რომ მათ—ფედ. არავითარი „ბლოკი“ მენშევიკებთან არ შეუკრავთ და თანხმობა არ მიუციათ, როგორც ამას მენშევიკები თავიანთ სიაში აცხადებდნენ, ვითომც სია სხვადასხვა ფრაქციებთან შეთანხმებით ყოფილიყო შემუშავებული. ხსენებული მიზეზები საკმაო იყო, რომ გამგეობას ანგარიში გაეწია მათთვის და ხელმეორეთ მოეწვია საზოგადო კრება. მენშევიკმა ს. ვადაჭკორიამ განაცხადა, რომ, როგორც წარსული, ისე ეს კრება იყო საჩქაროთ მოწვეული და ჩვენ ვერ მოვასწარით მომზადება და ამიტომ მე ფრაქციის სახელით ვაცხადებ: ჩვენ მოვისმინეთ მოხსენება მომენტზე, არჩევნებში მონაწილეობას არ მივიღებთ. ვადაჭკორია მიეშურება კარებისაკენ და მას მისდევს 70—80 კაცამდე, მათ შორის ყოფილი ხაზეინ მეპატრონენი. ისმის ხმები; „მიბრძანდით შრომის დეზერტირებო! უთქვენოთაც იოლათ წავალთო“.

შემოდის წინადადება—კრება გაგრძელდეს. მემარცხენე ს.-ფედერალისტების ფრაქცია აცხადებს რომ ისინი კრებას სთვლიან კანონიერათ.

ცხადდება სია 47 კაცისაგან შემდგარი კანდიდატების, სადაც შედიან კომუნისტები, მემარცხენე ს.-ფედერალისტები და უპარტიონი. ხმას აძლევს 321 წევრი. ერთი იკავებს თავს...

„ინტერნაციონალის“ ჰიმნის სიმღერით კრება იხურება.

კრების თავმჯდომარე **ვანო ზერბერაშვილი.**

მდივანი **ო. მიხნევიჩი.**

პროვინციაში

გ უ რ ი ა

მეტი ყურადღება სოფელს.

ვისაც არ ახსოვს მენშევიკების ბატონობა მთელ საქართველოში და კერძოთ გურიაში, რომელიც ჭორების სათავე სამზარეულოთ ითვლებოდა. ხოლო როდესაც დაჰკრა უკანასკნელმა წამმა მშრომელთა მასის განთავისუფლებისა, ისინი უგზო უკვლოდ დაიფანტნენ, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ თავიანთი ბატონობის უკანასკნელ დღეებში ისინი საშინლათ სწამლავდნენ ატმოსფერას, ჭორებით რამიშვილებისა და [illegible] საშუალებით. რაკი მოხდა ის რაც უნდა მომხდარიყო, რაკი ჩვენებმა ჩაიბარა ძალა-უფლება, ამ ვაჟბატონებმა ზოგმა თავი შეაფარა თავის სალოცველ ევროპის ბურჟუაზიას და ზოგიც სოფლებში გაიფანტა. ამ ჭორებს დღესაც აქვთ ძალა. ამას ხელი შეუწყო ერთმა გარემოებამ. როგორც კი მუშათა და გლეხთა ხელის-უფლება გამოცხადდა, ყველა ჩვენი პარტიული მუშაკები და გამოცდილი ამხანაგები თავი მოიყარეს ცენტრში და ჩაებენ იქ მუშაობაში. რასაკვირველია, ცოტა დარჩა სოფლადაც, მაგრამ არა იმდენი, რომლებსაც მისი დღევანდელი მდგომარეობა მოითხოვს. ამისათვის სოფლელი მუშები და გლეხები, ხშირად გავრცელებული პროვოკაციის გავლენის ქვეშ ვარდებიან. (ხან ჟორდანიას თითქოს მოსვლის ხმები, ხან სამასი კრეისერის ბათომში მოდგომა და ათასი სხვები). ამიტომ სოფელს უნდა მიექცეს დიდი ყურადღება. მიუხედავად ამ გარემოებისა დღითი დღე ძლიერდება და უმჯობესდება კავშირი ჩვენსა და მშრომელ ხალხს შორის. მაგრამ ზემოხსენებული ელემენტები ცდილობენ, ამას ხელი შეუშალონ. (იმ მიზეზით რაც ზემოდ მოვიხსენიე), ამისათვის საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს სოფელს, უფრო გაძლიერდეს ხალხში პროპაგანდა აგიტაცია. მეტი ყურადღება უნდა მშრომელ მასსას, ჩვენი წყობილების დედა ბოძს, რომ მით უფრო განმტკიცდეს უკვე საფუძველ ჩაყრილი მუშათა და გლეხთა ხელისუფლება.

გი—ძე.

დ. ჭრებალო (ლეჩხუმი).

19 აგვისტოს 1921 წ. ჭრებალოში მოხდა საერთო კრება ქვედის, ქვიშარის, [illegible], გებულის და ტოლის მცხოვრებლების. თავმჯდომარეობდა ილიკო ლეკიშვილი, მდივნობდა მიშა ყუფიანი.

განსარჩევი იყო სამი საკითხი: 1) რატომ ვართ ჩვენ კომუნისტები; 2) დეზერტირების წინააღმდეგ ბრძოლა, 3) ტყის საკითხი. პირველ საკითხზე შინაარსიანი მოხსენებით გამოვიდა [illegible] პროფკავშირში მომუშავე ამხ. სეფე ლეკიშვილი. მომხსენებელმა ვრცლათ გაარკვია მიზანი კომუნისტების. და ბოლოს დაასკვნა, რომ ერთად ერთი გზა სოციალიზმისაკენ არის პროლეტარიატის დიქტატურა და ასეთ მოძღვრების სათავეში უდგას მარტო მარტო კომუნისტური პარტია.

მოხსენებას ხალხი დიდი სიამოვნებით ისმენდა. კარგი იქნებოდა, რომ ასეთი მოხსენებები ხშირად იკითხებოდეს პროვინციებში, რომ საშუალება მიეცეს გლეხობას, დააღწიოს თავი ყოველგვარ გაუგებრობას. მეორე და მესამე საკითხზე მოხსენებას აკეთებს მთავრობის რწმუნებული ამხ. ეფრემ ხუფენკლაშვილი. მომხსენებელმა მეორე საკითხის შესახებ მიუთითა [illegible] ამ მოვლენის მიზეზებისაკენ, აღნიშნა, რა შედეგი მოყვება დეზერტირობას და რა სასჯელი მოელის დეზერტირების მფარველებს. მოწინააღმდეგე პარტიებიდან არავინ გამოსულა, მიუხედავად პირველი მომხსენებლის წინადადებისა მათაც ესარგებლა სიტყვით. ისე კი ზურგს უკან მენშევიკები ხალხში ლაპარაკობენ: ბოლშევიკები მალე დამარცხდებიან და საქართველოს საზღვრებს დასტოვებენ, თანაც დასძენენ, ხომ ხედავთ მათ გამო როგორი საზარელი სიძვირეა არის და სხვა. ეს ვაჟბატონები მიზეზებს კი არ უხსნიან ხალხს თუ რამ გამოიწვია ფაქტიურათ სიძვირე, ამაზე სთქვამ „სვინდისიც კარგი საქონელიაო“. არის აგრეთვე პროვოკაციული ხმები: ბათომს ინგლისელებმა [illegible], ლეჩხუმის გზაზე რუსის ჯარი მოდის, რომელიც მთლათ მოგისპობენ ვენახებს და სიმინდებსო. აი ასეთი პროვოკაციით სწამლავენ გლეხობას და სასოწარკვეთილებამდის მიჰყავთ ვინც მათ უჯერის. როდესაც აუხსენით ხალხს თუ რაში მდგომარეობს საქმე, მათ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. საჭიროა პროვინციებში ძალების დაგზავნა და გლეხობაში დიდი მუშაობის გაშლა.

ჭრებალოელი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 67.

საქართველოს სოციალისტურ საბჭ. რევოლიუციონური კომიტეტისა ავტონომიური აჭარის რევოლიუციონური კომიტეტის მოწყობის შესახებ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოწყობის შესახებ ამა 1921 წ. ივლისის 16 თარიღით და 54 №-ით საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის მიერ გამოცემული დეკრეტის განხორციელებისა და საბჭოთა ყრილობის მოწვევისათვის—მეჯლისის ახარჩევად—საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს:

1. მოაწყოს აჭარის ავტონომიური სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტი ცხრა წევრის შემადგენლობით და მეჯლისსა და ბათუმის რევოლიუციონური კომიტეტის შორის მომხდარ შეთანხმების საფუძველზე.

2. აჭარის რევოლიუციონურ კომიტეტს მიენიჭოს უმაღლესი უფლებანი მთლად აჭარის ფარგლებში ქალაქ ბათუმითურთ.

3. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი შეუდგეს დაუყოვნებლივ აჭარის რევოლიუციონურ კომიტეტთან კომისარიატების მოწყობას, რაც გათვალისწინებულია საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის მიერ 54 №-ით გამოცემული დეკრეტით.

4. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე ბ. მდივანი.

რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი ალ. ხალარიძე

1921 წ. სექტემბრის 8.

თბილისი—სასახლე.

დადგენილება № 68.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბ. რევოლიუციონური კომიტეტისა—სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორებისა, ორდინატორებისა და ასისტენტების მობილიზაციისაგან განთავისუფლების შესახებ.

1. პროფესორები, ორდინატორები და ასისტენტები, რომელნიც სახელმწიფო უნივერსიტეტში ირიცხებიან და სამეცნიერო მუშაობას აწარმოებენ,—არ უნდა იქნენ გაწვეულნი მობილიზაციის წესით ან მუშაობას ჩამოშორებულნი, განათლების სახალხო კომისარიატის ნებადაურთველად.

2. უკეთუ აღნიშნულ თანამდებობის პირთაგან ვინმე უკვე გაწვეულია მობილიზაციის წესით, ან მუშაობას ჩამოშორებული, განათლების სახალხო კომისარიატის ნებადაურთველად, დაუყოვნებლივ უნდა დაუბრუნდეს თავის მუდმივ თანამდებობას.

3. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე ბ. მდივანი.

განათლების სახალხო კომისარის მოადგილე დ. კანდელაკი.

რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი ალ. ხალარიძე.

1921 წ. სექტემბრის 10.

თბილისი—სასახლე.

ბრძანება № 11.

კონტრ-რევოლიუციასთან, ჯაშუშობის თანამდებობის პირთა, ბოროტმოქმედებასთან, ბანდიტიზმთან (ცარცვა-გლეჯასთან) და სპეკულიაციასთან მებრძოლ საგანგებო კომისიისა.

5 სექტემბერი 1921 წ. ქ. თბილისი.

საქართველოს საგანგებო კომისიას აქვს ცნობები და უტყუარი საბუთები, რომ ამ უკანასკნელ ხანებში [illegible] უპასუხისმგებლო პირებმა [illegible] რა გარდამავალი [illegible] თბილისის სხვა და სხვა არქივი და [illegible] დაცული საბუთები და ნაბეჭდი ნაწარმოები გაიტაცეს. ამ ბოროტმოქმედებაში მათ ხელს უწყობდნენ თბილისის სხვა და სხვა დაწესებულების მედუქნე-მოვაჭრენი, რომელნიც ხალისით ყიდულობდნენ საარქივო მასალას პარკების გასაკეთებლათ და ნავაჭრის გასახვევათ.

ვინაიდან ზემოაღნიშნულ საბუთების დაკარგვა წარმოადგენს რესპუბლიკისათვის დიდ დანაკლისს, საქართველოს საგანგებო კომისია ბრძანებს:

ა) ყველა მედუქნე-მოვაჭრეს, რომელთაც მოეპოვება საარქივო ქაღალდი ან არქივის კუთვნილი რაიმე ნაბეჭდი ნაწარმოები, ვალდებულია ჩააბაროს იგი ცენტრალური სამეცნიერო არქივს (ოლღას ქ. № 48), ამ ბრძანების გამოქვეყნებიდან სამი დღის განმავლობაში.

ბ) ბაზრიდან აღკვეთონ ზემოაღნიშნულ საბუთების და აგრეთვე იმ ქაღალდების ყიდვა, რომელნიც წარმოადგენენ არქივის კუთვნილებას.

ამ ბრძანების აუსრულებლობისთვის დამნაშავენი სასტიკათ დაისჯებიან.

საგანგებო კომისიის თავმჯდომარე კ. ცინცაძე.

ადმინ. ორგან. სამმართველოს უფროსი ვ. ორლოვ-მალახოვი.

საქმეთა მმართველის მაგიერ

პეტროსიანი.

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი—რუსთაველის პრ., 22 ტელ. 5—74.

— 1-ლ რაიონის ბიურო—ჩერქეზიშვილის ქ. 136. თეატრი „ნაძალადევი“ ტელ. 1—33.

— მე-2 რე რაიონის ბიურო—[illegible]ელის ქ. № 87. ტელ. 5—69.

— მე 3-მე რაიონის ბიურო—[illegible]ლაბარი. კახეთის მოედანი. 5—53.

— მე-4-ხე რაიონის ბიურო—[illegible] ქ. 29 „მუშათა კლუბის“ შენობაში. 9—52.

— მე 5-თე რაიონის ბიურო—[illegible]

— საქ. ახალგ. კომუნისტურ კავ. შორის ცეკა—რუსთაველის პრ. 22.

სარედაქციო კოლეგია.

განცხადებანი

განცხადებანი მიიღებიან მხოლოდ ნაშუადღევის 2 საათამდის.

პარტიულ ორგან. და წევრების საყურადღებოთ

ცენტრალური კომიტეტი ტანისამოსით და ფულით დახმარებას აღარ იწევა. ც. კ. პრეზიდიუმის დადგენილებით აკრძალულია მისდამი ასეთი თხოვნით მიმართვა.

ც. კ. მდივანი მ. ოკუჯავა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ქალთა განყოფილება 15 სექტემბრისთვის იწვევს თათბირს სამაზრო ქალთა განყოფილებების გამგეებისას.

დღის წესრიგი:

1) მიმდინარე მომენტი.
2) მოხსენება ც. კ. ქალთა განყოფილებისგან.
3) მოხსენება ადგილებიდან.
4) საორგანიზაციო კითხვები და მორიგი ამოცანები ქალთა განყოფილებებისა საქართველოში.
5) დედობის და ბავშვობის დაცვა.
6) მიმდინარე კითხვები.

კ ო ნ კ უ რ ს ი

საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის საფოსტო მარკების ნიმუშების დამზადებაზე.

რადგანაც უკვე გამოცხადებულ კონკურსით მხოლოდ ერთმა წარმოადგინა მარკების ნიმუშები, ფინანსთა კომისარიატი ხელმეორედ აცხადებს კონკურსის პირობებს.

საფოსტო მარკა უნდა იყოს 25, 50, 100, 250, 500, 1000 და 5.000 მანეთის ღირებულებისა.

კონკურსის პირობები:

1) უნდა წარმოდგენილ იქმნას საფოსტო მარკების შვიდი სხვა და სხვა ნიმუში შემდეგი ზომისა: პირველი ხუთის ნიმუშები იმავე ზომის იქნება რა ზომისაც ძველი საფოსტო მარკები იყო. 1000 მანეთიანი მარკა უფრო დიდი იქნება ზომით ვიდრე პირველი ხუთი, ხოლო 5,000 მანეთიანი უფრო დიდი ვიდრე 1000 მანეთიანი მარკა. სხვა და სხვა ღირებულების მარკა სხვა და სხვა ფერის უნდა იყოს. პროექტი შეიძლება წარმოდგენილ იქნას დიდ ფორმატად შეთანხმებული პროპორციონალურად ზემო ნაჩვენებ ზომებთან.

2) პირველ 5 მარკების ნიმუშებზე გამოსახული უნდა იყოს საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის ღერბი და უნდა ჰქონდეს ქართულ და ფრანგულ ენებზე შემდეგი წარწერა: „საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა“.

3) 1000 და 5000 მანეთიან მარკებზე გამოსახული უნდა იყოს რომელიმე დამახასიათებელი სახე საქართველოს რევოლიუციონური [illegible]დან, ხოლო წარწერა ისეთივე იქნება, როგორც პირველ ხუთს.

საუკეთესო პროექტი დაჯილდოვებულ იქნება 1.000.000 მანეთით საშუალო 500.000 და 300.000 მანეთით.

4) სრულებით დამთავრებული ნიმუში მხატვრის ფსევდონიმის აღნიშვნით ცალკე კონვერტით, ხოლო მე-2 კონვერტში ფსევდონიმის მაგიერ გვარის აღნიშვნით უნდა წარედგინოს ფინანსთა სახალხო კომისარიატს კომისარის სახელზე არა უგვიანეს 1 ოქტომბრისა ნაშუადღევის 1-ლ საათამდე.

5) ჟიურიში მოწვეულ იქნება სახალხო განათლების კომისარიატთან არსებულ ხელოვნების განყოფილებიდან წარმომადგენლები.

ფინანსთა სახალხო კომისარის მოადგილე ბ. ბაბინეიშვილი.

ს. სახელმწიფო გამომცემლობისაგან: წინადადება ეძლევათ ყველა სახალხო კომისარიატებს, მასთან დამოუკიდებელ საბჭოთა დაწესებულებებს და ორგანიზაციებს, წარმოადგინონ, 3 დღის ვადაში დღიდან ამის გამოცხადებისა სახელმწიფო გამომცემლობაში (ლორის მელიქოვის ქ. № 5) ცნობები წლის ბოლომდე განზრახულ გამოცემათა და მათთვის საჭირო ქაღალდის შესახებ. ცნობები უნდა იქნეს წარმოდგენილი მხოლოდ ცენტრებისაგან სასურველია ცალკე ლიტერატურულ, სამეცნიერო და სხვ. სატექსტო ნაწარმოებების აღნიშვნა და ცალკე საკანცელარიო ნივთებისა. სახელმწიფო გამომცემლობის გამგის მაგიერ ი. ბრენიჩოვი. საერთო და საგამომცემლო განყოფილებათა გამგე მაზუროვი.

პარტიული

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მეოთხე რაიონული კომიტეტი წინადადებას აძლევს ქვემო ჩამოთვლილ ამხანაგებს გამოცხადდნენ დღეს, 14 სექტემბერს რაიონულ კომიტეტის აღრიცხვა-საინფორმაციო განყოფილებაში, დღის 12 საათამდის:

1) სირაძე გრიგოლ, 2) ბერიძე ვლადიმერი, 3) ტყეშელაძე ალექსანდრე, 4) ხუნდაძე გიორგი, 5) სიხარულიძე ნესტორი, 6) ფაფხაძე სპირიდონი, 7) ძაყაშვილი ანდრია, 8) თვალჭრელიძე გიორგი, 9) ძნეიძე პეტრე.

პასუხისმგებელი მდივანი (ხელმოწერილია).

პროფესიონალური

განათლების და სოციალისტური კულტურის საორგანიზაციო ბიურო ამით აუწყებს კავშირის წევრებს, რომ კვირას, სექტემბრის 18-ს, დილის ათ საათზე, მუშათა სასახლეში (სხდომათა დარბაზი, მე 5 სართულში) შესდგება ადგილობრივი კომიტეტების კონფერენცია.

დღიური წესრიგი:

1. საორ. ბიუროს მოხსენება.
2. საორგ. საკითხები.
3. სატარიფო გან. და მომსახურების ქვეგანყოფილების მოხსენება.
4. ძალთა აღრიცხვის და განაწილების პრინციპები.
5. არჩევნები კულტურულ მუშაკთა მომარაგებისა და [illegible] დამხმარე კომისიების.
6. მიმდინარე საქმეები.